ახალი განათლება

6 ივლისი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№25 (779) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ეროვნული სასწავლო გეგმა

„სავალდებულო მინიმუმი“ თუ „საოცნებო მაქსიმუმი“ – ლიტერატურის სწავლება სკოლებში

გვერდი 4

* * *

ჩვენი აზრით, დროა, ლიტერატურა ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თანამედროვე პარადიგმის მიხედვით ვასწავლოთ. ეს ბევრი რამის ხელახალ გააზრებასა და ზოგჯერ გადაფასებასაც გულისხმობს. იმედი გვაქვს, საერთო ძალისხმევით, ქართველი პედაგოგები ამ გამოწვევას შესატყვისად ვუპასუხებთ.

* * *

უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ ქართული ლიტერატურის სწავლება ჩვენ სკოლებში მონოთეისტური საქმიანობაა. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი პრაქტიკა ქართულ სკოლებში, რომ მხოლოდ ცალი თვალით ვხედავდეთ მოვლენებს, რაც აღბეჭდილია ჩვენს ლიტერატურაში. როდემდე შეიძლება „აბოს წამება“ ვასწავლოთ ისე, რომ მოსწავლეს არაბულ სამყაროზე არაფერი ვუთხრათ, როდემდე შეიძლება „დიდოსტატის მარჯვენა“ ვასწავლოთ ისე, რომ ბიზანტიურ სამყაროზე არ ვესაუბროთ.

ბია მუჩლურია

* * *

დასახული მიზნები და ამოცანები სასწავლო დროსთან შეუსაბამობაშია, მასზე ვერ გადის ვერც მოსწავლე და ვერც მასწავლებელი. იმ სტანდარტზე იმ კონკრეტული მითითებებით ვერ გავალთ, რადგან ამისათვის არც დრო არის და არც საჭიროება. შევთანხმდით, რომ უნდა აღვზარდოთ არა ლიტერატურის მცოდნე, არამედ გემოვნებიანი მკითხველი, რომელმაც შემდგომში უნდა გაიკვლიოს გზა უკვე უმაღლეს სასწავლებელში.

თათია ბიბანი

* * *

ჩვენ ორი მძიმე ამოცანის წინაშე ვდგავართ. ერთი მხრივ, უნარების ჩამოყალიბება ბავშვებში, რაც გვევალება სტანდარტით და მეორე მხრივ, მასალის გავლა, რაც გვევალება ლიტერატურის ჩამონათვალით. მესამე, ძალიან მძიმე ამოცანაა ის, რომ მასწავლებელმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს რომელი უნარი რომელი მასალის მიხედვით განუვითაროს მოსწავლეს და თუ რა დონეზე – ეს უკვე ყველამ კარგად ვიცით.

ლალი დათაშვილი

* * *

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ არსებობს სტანდარტის მოთხოვნათა მიღწევის დონეები – თავისთავად ცხადია, რომ ყველა მოსწავლე სრულად ვერ დააკმაყოფილებს სტანდარტის ყველა მოთხოვნას. ამის მოლოდინი, ბუნებრივია, არ უნდა გვქონდეს.

თინათინ სტურაძე

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქცია, სექტემბრიდან, იცვლის მისამართს:

წერეთლის გამზ. №126

გაზეთი განაახლებს გამოსვლას 21 სექტემბრიდან

უმაღლესი განათლება

განსახელმწიფოება – აკადემიური თავისუფლების რესპექტი საქართველოში

გვერდი 6

რა არის უმაღლესი განათლების ძირითადი გამოწვევები საქართველოში და როგორ უნდა განვითარდნენ უნივერსიტეტები, იცავს თუ არა უნივერსიტეტი სტუდენტის უფლებებს და პასუხობს თუ არა თანამედროვე მოთხოვნებს, სად გადის ზღვარი ლექტორის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს შორის? წლების გადმოსახედიდან, ერთიანი ეროვნული გამოცდები – გრძელი გზა კორუფციული სისტემის ჩაქრობიდან ინსტიტუციური ხარისხის მართვის გამჭვირვალობამდე, პროგნოზირებადი სარეპეტიტორო ბაზრის კიდევ უფრო ზრდის მიზეზები – ამ და სხვა საკითხებზე საუბრობენ რუბრიკის „უმაღლესი განათლება“ სტუმრები – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი გახელაძე და ამავე უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები: მაია გამეზარდაშვილი, გიორგი ნინიკაშვილი და გიორგი ლომიძე. ჩვენი რესპონდენტები გულწრფელად საუბრობენ არსებულ პრობლემებზე, იმ გამოსავალსა თუ ტენდენციებზე, რომელსაც დღეს თანამედროვე სამყარო სთავაზობს მომავლის ადამიანებს. მათი მოსაზრებები ჩვენი უმაღლესებისა და უნივერსიტეტების ერთგვარი დიაგნოსტიკური სურათია.

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

წიგნის თაროს, სექტემბრიდან, ორი ახალი წიგნი შეემატება

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.

წიგნი გზამკვლევის ტიპისაა. მასში ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში. წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მას, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს.

ტრადიციული კონკურსი რუსთაველის კლუბის დაფუძნების კვირეულს დაემთხვა

კონკურსი „ვკითხულობთ რუსთაველს“, წელს, 13-14 ოქტომბერს ჩატარდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში. კონკურსის ჩატარების თარიღი საგანგებოდ შემოდგომისთვის გადავწიეთ, რადგან 5 წლის წინ სწორედ ოქტომბრის თვეში დავაფუძნეთ რევაზ სირაძის სახელობის რუსთაველის კლუბი; თავისთავად, შოთა რუსთველის 850 წლის იუბილე, კლუბის საზეიმო თარიღი და კონკურსი „ვკითხულობთ რუსთაველს“ ერთგვარი გაგრძელება და დაგვირგვინება იქნება იმ მასშტაბური ღონისძიებებისა, სახელმწიფოს ძალისხმევით, ქართველმა ერმა 26 მაისს რომ მოაწყო.

კონკურსის დებულების პირობები ძირითადად იგივეა, რაც ბოლო 15 წლის განმავლობაში: მხატრული კითხვის ოსტატობა, ინსცენირება და სამსახიობო უნარ-ჩვევები, მინი-კოლაჟი – ეპიზოდის გაცოცხლება, მხატრული სიტყვის ხელოვნების ენაზე ამეტყველება (ხატვა, ძერწვა, ქარგვა, ხეზე კვეთა, ჭედური ნამუშევრები...), რაც დავუმატეთ, ეს კონკურსში მონაწილეთა ჩართულობას ეხება – წელს არა მხოლოდ აღსაზრდელები და მოსწავლეები იქნებიან კონკურსის მონაწილეები, არამედ მათი მასწავლებლებიც, საშუალო და უმაღლესი განათლების პედაგოგ-ლექტორები. შესაბამისად, კონკურსის თემატიკა მათთვის თავისუფალია: საკონფერენციო და საგაკვეთილო ინოვაციურ-მეთოდური ნამუშევრები, მოდულები და ნაწარმოების თემატიკაზე საგაკვეთილო რესურსების მოძიება, მათეული ხედვა-გაზიარება, „ვეფხისტყაოსნის“ სოციალურ-კულტურული ფენომენის შესახებ მასწავლებელ-ლექტორთა თვალსაზრისი, ტოპონიმებისა და მწერლის ენის შესწავლა-გაცნობა.

პროექტში მონაწილეობის მსურველებმა, არა უგვიანეს,
2017 წლის 6-7 სექტემბერს უნდა წარმოადგინონ განაცხადი შემდეგი
ინფორმაციით: სკოლის დასახელება, იურიდიული მისამართი,
პროექტში ჩართულ მასწავლებელთა, მოსწავლეთა სია.
რეგისტრაციის შემდეგ მონაწილეებს მიეცემათ გარკვეული ინსტრუქცია.

კონკურსის დასკვნითი ტური ჩატარდება 2017 წლის 15 ოქტომბერს,
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბამოფენო დარბაზში.
განაცხადი უნდა წარმოადგინოთ მისამართზე: თბილისი, ბაქოს ქუჩა №1
საკონტაქტო პირი – **პროექტის ხელმძღვანელი თამარ ბარისაშვილი**
ტელეფონი: 577247767, 2-95-14-46

ინფორმაცია

შემაჯამებელი კონფერენცია

ტექნოპარკში მოსწავლეთა პროგრამირების (კოდინგის) სასკოლო კლუბების შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა, სადაც მოსწავლეებმა ჯგუფურად შექმნილი პროექტები – code.org პლატფორმაზე აწყობილი კომპიუტერული თამაშები – წარმოადგინეს. მოსწავლეების ნამუშევრებს გაეცნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თემურ მურღულია, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ზვიადაძე, Microsoft საქართველოს გენერალური მენეჯერი ნიკოლოზ დობორჯგინიძე და Educare Georgia-ს დირექტორი გიორგი ჯიბლაძე.

მოსწავლეებს სიტყვით მიმართეს და თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს „სტარტაპ საქართველოს“ ბენეფიციარმა კომპანიებმა – WiFisher და GRID.GE, ხოლო ტექნოპარკის თანამშრომლებმა – საინტერესო ტური მოუწყვეს.

პროგრამირების გაკვეთილები სკოლებში, 2017 წლის თებერვლიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული „თავისუფალი გაკვეთილების“ პროექტის ფარგლებში დაიწყო. პირველ ეტაპზე, პროექტში, საქართველოს მასშტაბით, 11 საჯარო სკოლა ჩაერთო. ამ სკოლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, Microsoft Georgia-ს და Educare Georgia-ს პარტნიორობით, კოდინგის სასკოლო კლუბები შეიქმნა, სადაც მოსწავლეებმა პროგრამირების საფუძვლების შესწავლა თამაშების და სახალისო აპლიკაციების აწყობის გზით დაიწყეს. გაკვეთილები დატვირთული იყო კომპიუტერული აქტივობებით და რეალურ ცხოვრებაში გადმოტანილი პროგრამირების ელემენტებით. პროგრამის დასასრულს, მოსწავლეებმა ააწყვეს ინდივიდუალური თამაშები და აპლიკაციები. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება პროგრამის გაფართოება.

კომპიუტერული პროგრამირება და კომპიუტერული მეცნიერებები დღეს ყველაზე მოთხოვნადი პროფესიაა მსოფლიოში და მოთხოვნა საგრძნობლად აჭარბებს მიწოდებას. ევროპაში უკვე 15 ქვეყანა ნერგავს პროგრამირებას და კომპიუტერულ მეცნიერებებს სკოლის ძირითად კურიკულუმში. პროგრამირება არ არის განკუთვნილი მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ ტექნოლოგიების სექტორში მუშაობა, ის ნებისმიერ მოსწავლეს დაეხმარება, განივითაროს ლოგიკური აზროვნების და პრობლემის გადაჭრის უნარები.

ლუკა ჭახიაშვილი, 157-ე საჯარო სკოლის მოსწავლე: *„რაც შეეხება ჩვენს პროგრამას, code.org-ის დახმარებით შევქმენით, გაერთიანებულია სამი საგანი – ისტორია, ინგლისური და ქართული. მოცემული გვაქვს ზოგადი კითხვები. პროგრამირება და მსგავსი საქმიანობა ძალიან აქტუალურია 21-ე საუკუნეში და გამიხარდება, ამ პროცესში ჩემი მეგობრები და ნაცნობებიც თუ ჩაერთვებიან.“*

თემურ მურღულია: *„განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ჩვენს შვილებს ამზადებს იმ ახალი ეკონომიკისთვის, რომელიც მომდევნო ათეული წლის განმავლობაში აუცილებლად დადგება. ამ ახალ ციფრულ ეკონომიკაში პროგრამირების უნარი იდენტური იქნება დღევანდელი წერისა და კითხვის უნარისა, ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი ინტერესი, ამ მიმართულებით დიდია. ამ პროექტს, ტექნოლოგიების ცენტრთან ერთად, ვაგრძელებთ, კიდევ ბევრი საინტერესო აქტივობა იგეგმება, რომელიც, საბოლოოდ, ხელს შეუწყობს ჩვენს შვილებს, ადგილი დაიმკვიდრონ ახალ ციფრულ ეკონომიკაში.“*

ნიკოლოზ დობორჯგინიძე, „მაიკროსოფთ საქართველოს“ ხელმძღვანელი: *„ძალიან მოხარული ვართ, რომ ჩვენს საერთო ინიციატივას შეესხა ფრთები და უკვე აქტიურად მიდის საპილოტე პროგრამა, რომელიც ბავშვებს ასწავლის კოდირებას. მიგვაჩნია, რომ კოდირება მომავლის ენაა და მისი შესწავლა დაეხმარება ახალგაზრდებს, მიაღწიონ უფრო მეტს, ჰქონდეთ მეტი შანსი, აქტიურად ჩაერთონ ტექნოლოგიურ ერაში და გახდნენ მისი ნაწილი.“*

კავკასიის უნივერსიტეტი (კავკასიის მედიცინის სკოლა)

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

აცხადებს კონკურსს პროფესორის (7 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (12 ვაკანტური ადგილი), ასისტენტ-პროფესორის (7 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტის (4 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად, შემდეგ მიმართულებებზე:

1. **კლინიკური მედიცინა**

1.1. ქვემიმართულება: **თერაპია/შინაგანი სნეულებანი**
პროფესორი – 1 ვაკანტური ადგილი
ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანტური ადგილი
ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანტური ადგილი
ასისტენტი – 1 ვაკანტური ადგილი

1.2. ქვემიმართულება: **ქირურგია**
პროფესორი – 1 ვაკანტური ადგილი
ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანტური ადგილი
ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანტური ადგილი

1.3. ქვემიმართულება: **მეან-გინეკოლოგია**
პროფესორი – 1 ვაკანტური ადგილი
ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანტური ადგილი
ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანტური ადგილი

1.4. ქვემიმართულება: **ანესთეზიოლოგია/რეანიმატოლოგია**
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანტური ადგილი
ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანტური ადგილი

2. **პრეკლინიკური მედიცინა (ფარმაკოლოგია, პათოლოგია, მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია)**
პროფესორი – 2 ვაკანტური ადგილი
ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანტური ადგილი
ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანტური ადგილი
ასისტენტი – 1 ვაკანტური ადგილი

3. **საბაზისო მეცნიერებანი (ბიოფიზიკა, ანატომია, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია)**
პროფესორი – 2 ვაკანტური ადგილი
ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანტური ადგილი
ასისტენტ-პროფესორი – 2 ვაკანტური ადგილი
ასისტენტი – 2 ვაკანტური ადგილი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

გ) ასისტენტ-პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

დ) ასისტენტისთვის
- დოქტორანტი, რომელსაც, სასურველია, ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის 2-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება;
- მოცემული დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში, არანაკლებ, 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

სავალდებულო მოთხოვნები:
- ინგლისური ენის ცოდნა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:
- კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
- CV-რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში – ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში – დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ბოლო 5 წლის განმავლობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინგლისური ენის კომპეტენციის/ინგლისურ ენაზე სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთი დოკუმენტაციის არარსებობის შემთხვევაში, კანდიდატის ენობრივი კომპეტენციის შემოწმება მოხდება პრეზენტაციის წარდგენისას საკონკურსო კომისიასთან);
- საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ასლი/კლინიკური აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ კლინიკური მედიცინის მიმართულების აპლიკანტებისთვის).

პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს კვალიფიციური პირი, პროფესიული ნიშნით. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების აუცილებელი კომპეტენცია.

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:
I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ
მითითებული დოკუმენტები შემდეგ მისამართზე:
hr@cu.edu.ge
გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ
შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის
სახელწოდება!

საბუთების მიღება:
2017 წლის 6 აგვისტოდან 2017 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

პროფესიული განათლება

აქცია პრობლემების დროულად მოგვარებისთვის

უკვე რამდენიმე წელია, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია აქტიურად იბრძვის პროფესიული სტუდენტების დაფინანსების წესის შესაცვლელად. დაფინანსების არსებული მოდელი უსამართლო და არაკონკურენტულ გარემოს ქმნის პროფესიული განათლების სივრცეში და თავისუფალ არჩევანს უზღუდავს ახალგაზრდებს. პროფესიული განათლების რეფორმა, წარმოადგენს რა ქვეყნის ხელისუფლების მიერ აღიარებულ პრიორიტეტს, ასოციაციის მოლოდინია, რომ დაფინანსების წესის ცვლილება პროფესიული განათლების შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, გაზრდის პროფესიული განათლების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. დაფინანსების წესში ცვლილებების შეტანა არ მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებებს და ხანგრძლივ პროცედურებს, რომლითაც შესაძლებელია პროფესიული განათლების სივრცეში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა და პროფესიული განათლების მსურველთა რიგების მნიშვნელოვანი გაზრდა.

აღნიშნული პრობლემის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით, 2017 წლის 9 ივნისს, გაიმართა გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა რეგიონებსა და თბილისში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები, მასწავლებლები და ხელმძღვანელები. 50-მდე კერძო პროფესიული პროვაიდერის სახელით, რომელშიც 2500-მდე პროფესიონალია დასაქმებული, კერძო კოლეჯების ასოციაციამ წერილით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, რათა განიხილოს და უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის მინიჭებული უფლება – სწავლის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, არსებული დაფინანსების სისტემის სამართლიანი დარეგულირება, პროფესიული განათლების სისტემაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა.

კერძო კოლეჯების ასოციაცია იმედოვნებს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, ქმედით ნაბიჯებს გადადგამს.

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის გამგეობა

ქართული როგორც მეორე ენა

მე, პროექტი და ჩემი დიდი პამაჯი

საქართველოში, უკვე რამდენიმე წელია, წარმატებით ხორციელდება განათლების სამინისტროსა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სხვადასხვა პროგრამები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ერთ-ერთი მათგანია „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“ (წარსულში „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“), რომლის მონაწილე მეც გახლავართ. ყველაფერი ასე დაიწყო: ამ პროექტის შესახებ ჩემი მეგობრისგან გავიგე, დავინტერესდი და გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო. პროფესია და მოტივაცია ერთად მიწყობდა ხელს, არაქართველ ბავშვებს დავხმარებოდი ქართული ენის შესწავლაში. პროექტში მონაწილეობის მისაღებად საჭირო იყო რამდენიმე აუცილებელი ეტაპის გავლა: განცხადების შეტანა შესაბამის სტრუქტურაში, სპეციალურად ამ პროექტში მონაწილეობის მსურველთათვის დაწესებული გამოცდის ჩაბარება, შემდეგ გასაუბრება კომისიასთან, დაბოლოს, ათდღიანი ტრენინგი, სადაც გავეცანით იმ მეთოდებს, რომლითაც უნდა გვემუშავა სკოლაში ბავშვებთან. ტრენინგის დასრულებისთანავე, გაგვანაწილეს სხვადასხვა რაიონში და სოფელში. ძალიან მინდოდა სამცხე-ჯავახეთში მოხვედრა, რადგან წარმოშობით იქიდან ვარ და კარგად ვიცნობ ამ მხარეს. საბედნიეროდ, ასეც მოხდა, მოვხვდი ახალციხის რაიონის სოფელ დიდ პამაჯში. ტრენინგიდან დაბრუნებულს სურვილი გამიჩნდა, მენახა სოფელი, სადაც უნდა მეცხოვრა და მემუშავა.

როგორც კი სოფელში შეხვალ, გზა აღმართს მიუყვება, აღმართს რომ აივლი, ხელისგულივით მოჩანს მთებზე გადაფენილი, პატარა ულამაზესი სოფელი, დიდი პამაჯი, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული სილამაზითა და სტუმართმოყვარე მოსახლეობით. როდესაც იმ სახლში მივედი, სადაც უნდა მეცხოვრა, დიასახლისის გოგონა შემომეგება. ორი წუთის შემდეგ ჩემი დიასახლისი მოვიდა. როგორც ჩანს, სოფელში მალე გავრცელდა ახალი სტუმრის ამბავი და ცოტა ხნის შემდეგ დირექტორიც გვესტუმრა. გავიცანით ერთმანეთი, ფინჯანი ყავაც დავლიეთ, ვისაუბრეთ და სექტემბრამდე დავემშვიდობეთ ერთმანეთს. სახლში კმაყოფილი დავბრუნდი.

დადგა სექტემბერი, სკოლაში წასვლის დღე. ისეთი განწყობით წავედი, რა სირთულეც არ უნდა შემხვედროდა, აუცილებლად დავძლევდი და ჩემს მოვალეობას პირნათლად შევასრულებდი. ბავშვები საოცრად მეგობრულები და ძალიან მონდომებულები დამხვდნენ, დღემდე ასეა. უყვართ ქართული ენის გაკვეთილები. როცა კლასში შევდივარ, ჩემს დანახვაზე საოცარი რეაქცია აქვთ, გაკვეთილის ბოლოს მეუბნებიან: დალი მასწავლებელო, კიდევ თქვენ მოდით რა გაკვეთილზე! დიდი პასუხისმგებლობაა მათთან მუშაობა, მაგრამ უფრო დიდი სიამოვნებაა მათთან მეგობრობა, მათი ეს სიყვარული და აღტაცება იმდენად განუზომელია ჩემ მიმართ, რომ მთელი ცხოვრება გამყვება ის პირველი ემოცია, პირველ გაკვეთილზე შესულს რომ დამეუფლა და ეს ყველაფერი დღემდე ასე გრძელდება.

პროექტში ოთხწლიანმა მუშაობამ დამოუკიდებელი გამხადა. ბევრი რამ შემმატა, თვითრეალიზების საშუალება მომცა და მასწავლა ურთიერთობები საზოგადოებასთან, ბავშვებთან, თანამშრომლებთან. უფრო მეტად ჩამოვყალიბდი და გავაცნობიერე, რა მინდა გავაკეთო მომავალში. ჩემი პროფესიით ვმუშაობ და მგონია, რომ საყვარელი საქმის კეთება წარმატების საწინდარია. ამ პროექტის მონაწილე დამხმარე მასწავლებლები ვცდილობთ, დავეხმაროთ საქართველოში მცხოვრებ არაქართულენოვან მოსახლეობას, უპირველესად, მოსწავლეებს, რადგან ეს პროგრამა სკოლაში სახელმწიფო ენის სრულყოფილად შესწავლას ემსახურება, რათა მომავალში ამ ბავშვებმა მისი ფუნქციურად გამოყენება შეძლონ პირად ცხოვრებასა თუ პროფესიულ საქმიანობაში. მინდა, წარმატებული მომავალი თაობის აღზრდაში ჩემი მცირედი წვლილი შევიტანო. სწავლა-განათლება ხომ მომავალი თაობის კეთილდღეობის ბურჯია. ჩემი დიდი სურვილია, თითოეული არაქართული სკოლის კურსდამთავრებულს უადვილდებოდეს საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლა და პროფესიის დაუფლება.

კიდევ ბევრის თქმა და დაწერა შეიძლება. მე ხომ აქ, მთელი ოთხი წელი გავატარე. ეს არის გარემო, რომელიც ჩემთვის უცხო იყო, მაგრამ ახლა განსაკუთრებულად ამაღლებული გახდა.

წარმატებას ვუსურვებ პროექტს და ყველას, ვინც ხელს უწყობს ამ მნიშვნელოვან საქმეს და ზრუნავს მის განვითარებაზე.

დალი ყავრელიშვილი
ახალციხის მუნიციპალიტეტის
სოფელ დიდი პამაჯის საჯარო სკოლის მოხალისე პედაგოგი

ეროვნული სასწავლო გეგმა

„სავალდებულო მინიმუმი“ თუ „საოცნებო მაქსიმუმი“ – ლიტერატურის სწავლება სკოლებში

მაკა ყიფშიანი

30 ივნისს თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ასოციაციამ ჩაატარა კონფერენცია თემაზე: „ლიტერატურის სწავლება X-XII კლასებში“. პედაგოგებმა იმსჯელეს საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მოქმედი სტანდარტის შესახებ, განიხილეს პრობლემები: ლიტერატურის სწავლების მიზნის არაადეკვატურობა; საგნობრივი სტანდარტის სირთულე; სასწავლო პროგრამისთვის მხატვრული ტექსტების შერჩევის კრიტერიუმების ბუნდოვანება; პროგრამის გადატვირთულობა; ქართული ენის სწავლების არასაკმარისობა და სხვ. ასოციაციის პოზიცია ამ პრობლემების გადაწყვეტაა. *„ჩვენი აზრით, დროა, ლიტერატურა ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თანამედროვე პარადიგმის მიხედვით ვასწავლოთ. ეს ბევრი რამის ხელახალ გააზრებასა და ზოგჯერ გადაფასებასაც გულისხმობს. იმედი გვაქვს, საერთო ძალისხმევით, ქართველი პედაგოგები ამ გამოწვევას შესატყვისად ვუპასუხებთ ,“* – განაცხადა ასოციაციის დამფუძნებელმა **გია მურღულიამ**, რომელმაც კონფერენცია პლენარული სხდომით გახსნა და ისაუბრა სკოლის მე-3 საფეხურზე ლიტერატურის სწავლებასა და არსებულ პრობლემებზე.

პლენარული სხდომის შემდეგ კონფერენციის მონაწილეები სამ სექციაში გადანაწილდნენ და უკვე კონკრეტულ პრობლემებზე იმსჯელეს. სექციების მუშაობას მოდერატორები წარმართავდნენ.

პირველ სექციაში (მოდერატორები: **ეკა ფხალაძე**, **ელენე შიოშვილი** და **ქეთევან საბაური**) პედაგოგებმა ისაუბრეს ლიტერატურის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლების მიზნებსა და ამოცანებზე, შეეცადნენ გაეაზრებინათ, რამდენად ადეკვატურია ეს მიზნები და ამოცანები დღევანდელი გამოწვევების;

მეორე სექციაში (მოდერატორები: **თათია გიგანი** და **მარიამ რურუა**) იმსჯელეს საგნობრივ სტანდარტზე, პროგრამაზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში დაფიქსირებულ მოთხოვნებსა და მათ ადეკვატურობაზე;

მესამე სექციაში (მოდერატორები: **ლალი დათაშვილი** და **მაია ჯალიაშვილი**) კი განხილვის თემა უფრო კონკრეტული იყო – ლიტერატურული ტექსტების სასკოლო პროგრამისათვის შერჩევის კრიტერიუმები.

დასკვნით სხდომაზე სექციათა მოდერატორებმა წარმოადგინეს პედაგოგების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები შემდგომი მუშაობისთვის.

კონფერენციას ესწრებოდნენ და მონაწილეობდნენ თბილისის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატური მასწავლებლები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნული სასწავლო გეგმის დეპარტამენტის წარმომადგენლები, განათლების ექსპერტები.

გია მურღულია: *„კონფერენცია საკმაოდ დიდი ხნის წინ დავაანონსეთ, საიმისოდ, რომ ყველას გაგვეაზრებინა, თუ რა თემებს შევეხებოდით დღეს, რა გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღოს ასოციაციამ, ჩვენმა პედაგოგიურმა კორპუსმა იმ ძალიან მტკივნეულ საკითხებზე, რაც ნებისმიერ ჩვენგანს აღელვებს. შევეცდები ძალიან მოკლედ, ლაკონიურად წარმოვადგინო ჩვენი ასოციაციის ხედვა იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რასაც შემდგომ სექციებში გავშლით. სამივე თემა, რომელზეც სექციები იმუშავებენ ძალიან მნიშვნელოვანია და სისხლხორცეულად უკავშირდება თითოეული ჩვენგანის სასკოლო ბედს, თუ ბედისწერას არა.*

ჩემი მოხსენება საკმაოდ ხანგრძლივი შეიძლებოდა ყოფილიყო, იმიტომ რომ აქ იმდენი საკითხია, თითოეულს მოკლედ, დეტალურად, დამარწმუნებლად რომ შეეხო, შეიძლება ძალიან დიდი ხანი დაგჭირდეს. ადამიანები ხანდახან უბრალოდ გამოთქვამენ ხოლმე საკუთარ მოსაზრებებს, რომლებიც არაფრით არის გამყარებული. დღეს ასე არ მინდა, რომ იყოს. ჩვენი (ასოციაციის) სურვილია, თითოეული ჩვენი მოსაზრება, რომელსაც გაგაცნობთ, მყარად არგუმენტირებული იყოს.

რა მიზნებს ისახავს ლიტერატურის სწავლება ქართულ სკოლაში და როგორ არის ჩამოყალიბებული სავალდებულო მოთხოვნები ამ მიზნის მიღწევის გზებზე? როგორ შეირჩევა ტექსტები პროგრამისთვის? ვინ აკეთებს ამას ყველაფერს? – ჩემი აზრით, დღევანდელმა კონფერენციამ ამ კითხვებს პასუხი უნდა გასცეს. თუ ამას მოვახერხებთ, უნდა მივიჩნიოთ, რომ დღე ტყუილად არ დაგვიკარგავს.

***მთავარი კითხვები**: რა დროს ითხოვს ეროვნულ სასწავლო გეგმაში – „მიზანში“, „ამოცანებსა“ და „მიმართულებებში“ – ჩამოყალიბებული მოთხოვნების დაკმაყოფილება? (ამ კითხვას საგანგებოდ მნიშვნელოვანს ხდის ის, თუ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნით, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს მესამე საფეხურის დამთავრებისას) მარტივ ფრაზას ვიტყვი: რასაც გვავალებს ჩვენი ეროვნული სასწავლო გეგმა, რასაც ჩვენ, ქართულის მასწავლებლებს, გვთხოვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, როგორც მთავრობის წარმომადგენელი და აგენტი – ჩვენი საზოგადოება და სახელმწიფო, ჩვენთვის გამოყოფილი დროის ფარგლებში, ეს პრინციპულად შესაძლებელი რამ არის თუ არა? რატომ ვკითხულობ ამას, იცით? იმიტომ, რომ ქართულის მასწავლებლის შრომას სწორედ ასე შეაფასებენ – რამდენად სრულად ასრულებს იმას, რასაც ავალებენ. მაგრამ თუ ეს დავალება პრინციპულად შეუძლებელი მოთხოვნაა, რისკენაც ჩვენ ვიხრებით, მაშინ ეს შეფასების კრიტერიუმიც მთლად სამართლიანი და ობიექტური არ არის.*

არის თუ არა საკმარისი გამოყოფილი საათები საიმისოდ, რომ:

• ასწავლო შესაბამისი ტექსტების შინაარსი – მოგეხსენებათ, ეს საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს;

• განუვითარო მოზარდს ძირითადი სამეტყველო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი). გეკითხებით – ხომ საინტერესოა, ამ ყველაფერს, ყოველდღიურად, რა დრო უნდა დაუთმოს პედაგოგმა, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ კარგად, გამართულად წერაც, კითხვაც, მოსმენაც და საუბარიც?

• გამოუმუშაო წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა. წერა რომ ასწავლო ბავშვს (წერის სწავლა არ არის უბრალოდ ერთი ფრაზის გამოყვანა სტრიქონზე), ეს ნიშნავს წიგნიერებას მთელი თავისი მრავალი განზომილებით. მოსწავლეს უნდა ასწავლო, ჩამოყალიბებულად გაიაზროს ნებისმიერი ნაწერის სტრუქტურა. მას უნდა შეეძლოს არგუმენტირებული ესეს დაწერა, თავისი აზრის გამოხატვა (თან გვეუბნებიან, სხვადასხვა ჟანრში და სხვადასხვა სტილშიო). გეკითხებით – რა დრო სჭირდება ყველაფერ ამის სწავლებას?

• განუვითარო საკუთარი აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი (ეს ყველაფერი გვიწერია ეროვნულ სასწავლო გეგმაში). ვინმემ დათვალა, რა დრო სჭირდება ამ უნარის განვითარებას?

• ჩამოუყალიბო დამოუკიდებელი შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი; შეაყვარო კითხვა, გამოუმუშაო ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;

• გააცნობიერებინო ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

მე არ ვიცნობ არც ერთ მასწავლებელს, საკუთარი თავის ჩათვლით, რომელიც ამას სრულად, 100 პროცენტით ასწრებდეს (მოხერხებით ნაწილობრივ მოახერხებს, ალბათ) იმ დროის განმავლობაში, რაც ჩვენ გამოყოფილი გვაქვს.

მახსოვს, ადრე მოგვეთხოვებოდა მხოლოდ და მხოლოდ შინაარსის სწავლება, ეს ყველაფერი კი, რაც ზემოთ მოგახსენეთ – არა. მაშინაც კი, მაგალითად, ძველი ლიტერატურის სწავლებისას, გურამიშვილის სრულად გავლას ვერავინ ასწრებდა დედამიწის ზურგზე. რაც ზემოთ ჩამოვთვალე, ამის შემდეგ კიდევ რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა? მან, ასევე, უნდა მოახერხოს თურმე: კალიგრაფიული კულტურის გამომუშავება, ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრება, აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება; მსჯელობის უნარის განვითარება, სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) მონაცემთა საფუძველზე; ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება; ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება; დისკუსიაში მონაწილეობა და ა.შ. (პირველად რომ წავიკითხე, ვიფიქრე, თვალები ხომ არ მატყუებს-მეთქი, მაგრამ არა).

მომდევნო ბლოკი ჩვენი ვალდებულებების ასეთია: შეძლებს თუ არა მასწავლებელი გამოყოფილ დროში (რა თქმა უნდა, თუ რამე მორჩა) ისე წარმართოს მუშაობა, რომ მოსწავლემ შეძლოს: ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარის გამოვლენა და განვითარება; აზრებისა და დამოკიდებულებების გამოხატვის ენობრივ სტილისტური საშუალებების დაუფლება; სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესაქმნელად შესატყვისი სტილის შერჩევა (ალბათ აქ უნდა გავიღიმო); მართლწერისა და პუნქტუაციის სავალდებულო ნორმების დაცვა... ამას მოსდევს ზეპირმეტყველებისა და კითხვის, ანუ წიგნიერების დაწვრილებითი ანალიზი და შეფასება.

არის თუ არა აქ მოცემული მოთხოვნები ზოგადი განათლების დადასტურებისა და ატესტატის გაცემის აუცილებელი წინაპირობა? მხოლოდ ქართული ხომ არ ისწავლება, სხვა საგნებშიც იგივე მდგომარეობა გვაქვს. თუ აქ მოცემული მოთხოვნები ზოგადი განათლების დადასტურებისა და ატესტატის გაცემის აუცილებელი წინაპირობაა, მაშინ მე უნდა ვიკითხო, ასეთი მოთხოვნებით საქართველოს მოსწავლეების რამდენი პროცენტი შეძლებს სკოლის დამთავრებას? უფრო მწვავე კითხვა შემიძლია დავსვა – აქ რაც წერია, საქართველოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა რამდენი პროცენტი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს? სხვისკენ რომ არ გავიშვირო ხელი, გეტყვით: მე ამ მოთხოვნას, ალბათ, ვერ ვაკმაყოფილებ.

ამ მოთხოვნათა წაყენება ნიშნავს თუ არა იმას, რომ ჩვენი სახელმწიფო მასწავლებელს უპირობოდ სთხოვს ლიტერატურისმცოდნის აღზრდას (რაც შეუძლებელი მიზანი და ამოცანაა)? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანაა კარგი მკითხველის გაზრდა, რომელსაც, ასევე, შეეძლება გასაგებად, მკაფიოდ ჩამოაყალიბოს წერილობით თავისი აზრი – ზოგადი განათლებისთვის ეს სავსებით საკმარისია. ვინც ამას დაუმატებს, მაგალითად, რომ თურმე ნებისმიერმა მოწაფემ, სხვადასხვა ტიპის ტექსტის დაწერის დროს, სხვადასხვა სტილი უნდა გამოიყენოს, მე მექნება სერიოზული დისკუსია ასეთ ადამიანთან და გარანტიას ვაძლევ, დიდი ანგარიშით წააგებს (ერთ-ერთი სექცია კონფერენციაზე სწორედ ამ ამოცანას მიეძღვნება). სხვათა შორის, ეს უკავშირდება ლიტერატურის ისტორიის სწავლებასაც. როგორც ჩანს, მართლა ლიტერატურისმცოდნის აღზრდას გვთხოვენ. ნიშნავს თუ არა ეს იმასაც, რომ ამ მოთხოვნებზე დაფუძნებით, სასკოლო საგნობრივი პროგრამით ლიტერატურის ისტორიის სწავლება მასწავლებელს სთხოვს ლიტერატურის ისტორიკოსის აღზრდას (რაც, ასევე, შეუძლებელი მიზანი და ამოცანაა)? აბა, რატომ ვასწავლით ქართული ლიტერატურის ისტორიას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში? თუ ასეა, რამდენად ადეკვატურია ეს მოთხოვნა? ამიხსნას ვინმემ, რატომ ვასწავლით X კლასში ძველ მწერლობას ან XI კლასში – ე.წ. ახალ მწერლობას? რეზი თვარაძე ამბობდა: ეს მთლიანობაა, რატომ შლით ასეო. რატომ ვაკეთებთ ისე, რომ დასკვნით საფეხურზე, თანამედროვე მწერლობა პრაქტიკულად არ და ვერ შემოგვაქვს (ან რა მოესწრება მხოლოდ ერთ სემესტრში)?

რამდენიმე დღის წინ, სამინისტროში წინასწარი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა, წარმოდგენილი იყო ახალი საგნობრივი სტანდარტის (VII, VII და IX კლასებში) სამუშაო ვარიანტი. ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო და გამიჩნდა სერიოზული იმედი, რომ სამინისტროში, დაახლოებით, ანალოგიურად ფიქრობენ – რეალური ცვლილებების გზაზე დადგნენ, რაც მისასალმებელია. ეს მაფიქრებინებს, რომ შეგვიძლია ძალიან კონსტრუქციულები ვიყოთ და ერთიანი ძალისხმევით მივაღწიოთ სასურველ შედეგებს. თუმცა, მანამდე კითხვები უნდა გავაგრძელო. აქ მოთხოვნებზე ვსაუბრობ, თორემ სკოლებში რაც ხდება, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით – დასახელებული მოთხოვნების დაკმაყოფილებით თავს არავინ იწუხებს. შევალ ნებისმიერ სკოლაში, ნებისმიერ მასწავლებელთან, დავიჭერ ამ მოთხოვნებს ხელში და აღმოვაჩენ, რომ იქ ეს არ ხდება ან ხდება ნაწილობრივ, არასრულფასოვნად, ან სრულად – ძალიან ცოტა ადამიანთან. ეს არ ქმნის საერთო სურათის განცდას. დაკავშირებულია თუ არა მასწავლებლის შრომის შეფასება ამ მოთხოვნებთან და რამდენად სამართლიანია ეს?

ჩვენ წარმოგვიდგინეს ახალი სქემა, მე ვიყავი სახელმწიფო კომისიის წევრი, რომელიც ამ საკითხებს განიხილავდა. ამ კომისიამ საკმაოდ ინტენსიურად იმუშავა და საინტერესო შედეგებიც დაიდო, თუმცა ბევრი რამ კიდევ საკამათო დარჩა. ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხია, როგორ შევაფასოთ მასწავლებელი? მაგალითად, ლალი დათაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული მასწავლებელია მათ შორის, ვინც კი მე ცხოვრებაში მინახავს. როგორ შეაფასებენ მას? (აღარ ვლაპარაკობ ყველა ჩვენგანზე). დაიწყებენ იმის ანალიზს, როგორ აკმაყოფილებს ლალის თითოეული მოსწავლე იმ მოთხოვნას, რაც აქ წერია, იმიტომ, რომ ამას სტანდარტი ჰქვია. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ეს სტანდარტი არ არის! ეს არ არის სავალდებულო მინიმუმი. „სტანდარტი“ კი ჰქვია სავალდებულო მინიმუმს. მე რომ სკოლის დირექტორი ვარ, რომელ მოსწავლეს მოვუწერო ხელი ატესტატზე – ვინ დააკმაყოფილა ეს „მინიმალური მოთხოვნა“? ზედა ზღვარი განსაზღვრული არ არის. ზემოთ, სადაც გინდა, ინავარდე. ეს უნდა იყოს მინიმალური, აუცილებელი დონე. არის ჩვენი სტანდარტი სავალდებულო მინიმუმი? კიდევ ერთხელ ვამბობ, საშუალო და კარგი მასწავლებელი კი არა, არ მეგულება საქართველოში ლიტერატურისმცოდნე, რომელიც ამას სრულად დააკმაყოფილებს. ასეთ მოთხოვნებს უნდა ვუწოდოთ სტანდარტული მინიმუმი, უნივერსიტეტში კი არა, სკოლაში? ეს დიდი გაუგებრობაა.

პირველად უნდა ვახსენო ასეთი სიტყვაშეხამება, როგორიცაა ლიტერატურის სწავლების „თანამედროვე პარადიგმა“. როგორ და რას აკეთებენ სხვა ქვეყნები, მარტო ჩვენ ხომ არ ვასწავლით მშობლიურ ლიტერატურას? არა მგონია, იქ ასე ურევდნენ უმაღლესი სკოლისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიზნებსა და მიზანდასახულობებს, როგორც ჩვენ.

ისმის კითხვა: თუ ყველაფერი ის, რაც მე ზემოთ ჩამოვთვალე, ანგარიშგასაწევია (ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ არ უნდა ვიფიქროთ ასე), როგორ უნდა შეიცვალოს ლიტერატურის სწავლება ქართულ სკოლაში, რომ თანამედროვე რეალისტურ პარადიგმას დაეფუძნოს? არის თუ არა შესაცვლელი ის მიზნები და ამოცანები, რომელიც ახლა დამტკიცებულია? არ ვიცი, როგორი იქნება მესამე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის პროექტი, რომელსაც ალბათ მალე წარმოგვიდგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თუკი იქ ამ კითხვების მესამედი მაინც იქნება გამოხშირული და მოხსნილი, პირადად მე, ძალიან ბედნიერი ვიქნები.

აუცილებელია თუ არა საგნობრივი სტანდარტის ხელახალი გააზრება, რათა ის „სავალდებულო მინიმუმი“ იყოს და არა „საოცნებო მაქსიმუმი“? უნდა დავინტერესდეთ თუ არა, სკოლის რამდენი მოსწავლე (ან, თუნდაც, მასწავლებელი) აკმაყოფილებს ამჟამად დეკლარირებულ მოთხოვნებს? სულ მიკვირს ერთი ამბავი, ჩვენი სახელმწიფო მუდმივად აყენებს მოთხოვნებს და მერე, ფაქტობრივად, საერთოდ არ აინტერესებს, როგორ სრულდება ეს მოთხოვნები.

მონიტორინგი ძალიან პოპულარული სიტყვაა. ტარდება ამის მონიტორინგი – რამდენად აკმაყოფილებენ ქართული სკოლები ეროვნული სასწავლო გეგმით დეკლარირებულ მიზნებს? მე ვფიქრობ, არ ტარდება, ან ტარდება ძალიან ფერმკრთალად, იმიტომ, რომ ე.წ. „კატის“ გამოცდა იმის მეხუთედსაც არ ამოწმებს, ალბათ, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებშია ჩამოყალიბებული და – ვერც, მაინც-დამაინც, ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ორი დოკუმენტი – „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ და ეროვნული სასწავლო გეგმა. სიმართლე უნდა ითქვას: სამწუხაროდ, არავის არ აინტერე-

ეროვნული სასწავლო გეგმა

სებს ეს ამბავი! ეს მხოლოდ ინდივიდუალური ინტერესის სფეროს შეიძლება უკავშირდებოდეს. სისტემური ინტერესი ამ საკითხის მიმართ, თუ როგორ ასრულებს ქართული სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, არავის აქვს (მე ასეთი განცდა მაქვს, არ ვიცი, შეიძლება ვცდები).

რუსებმა ჩაატარეს ასეთი კვლევა (ჩვენთან ანალოგიური კვლევა არ ჩატარებულა) – რამდენიმე წლის წინ დასვეს კითხვა: რაც ჩვენ სტანდარტული მოთხოვნები გვაქვს, მართლა რომ ისწავლონ ჩვენმა მოსწავლეებმა, რამდენი მეცადინეობა დასჭირდებათ? დასკვნა ასეთი იყო: მართლა რომ ისწავლოს ეს ყველაფერი მოსწავლემ, კვირაში 156 საათი უნდა იმეცადინოს. ეს აბსურდის აბსურდია – ზეაბსურდია! რასაც დღეს ქართულ სკოლას სთხოვს ქართული სახელმწიფო, ეს პრინციპულად შეუძლებელია.

დაბოლოს, უნდა დავინტერესდეთ თუ არა, საგნობრივი პროგრამის მთლიანი მოცულობის რა ნაწილს უნდა იკავებდეს თანამედროვე ლიტერატურის ტექსტები? ყველა აღიარებს, რომ თანამედროვე ადამიანს ზრდის თანამედროვე ლიტერატურაზე ფიქრი. ცხადია, უნდა იყოს კულტურული უწყვეტობა – ეს ბუნებრივია, მაგრამ ხომ არ შეიძლება მთელი ჩვენი დრო დავუთმოთ კულტურული უწყვეტობის შენარჩუნებას და აბსოლუტურად განზე დავტოვოთ ის, დღეს რაზე ფიქრობს ადამიანი, რა აინტერესებს, რა თემებზე მსჯელობს. ვერავინ დამაჯერებს, რომ XII კლასში, რაც გინდა იდეალური პროგრამა შევთავაზოთ ბავშვებს, მის გავლას და სწავლებას მოასწრებს მასწავლებელი ერთი სემესტრის განმავლობაში – მეორე სემესტრი უკვე სააბიტურაა და გვავიწყდება, რომ იქ სრული საათების რაოდენობას კი არ გვაძლევენ, მხოლოდ ამის ნახევარს.

დავინტერესდეთ, საგნობრივი პროგრამისთვის მხატვრული ტექსტების შერჩევის რა კრიტერიუმები არსებობს და რამდენად კარგადაა გააზრებული ეს მოთხოვნები დღეს? X, XI, XII კლასები – სამი წელი, რომელ წელს რომელი ტექსტი უნდა შევიტანოთ, რა უდევს ამას საფუძვლად, ამ სიცარიელის შევსების რა ლოგიკა გვაქვს? ხომ არ გვავიწყდება, რომ სკოლაში ლიტერატურა მთავარი არ არის (ოდნავ უტრირებით ვსაუბრობ), მთავარია ბავშვი, რომელსაც ლიტერატურას ვასწავლით და, ყოველი კონკრეტული ტექსტის შეტანით, ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ დასმული ესა თუ ის ამოცანა უნდა გადავწყვიტოთ (აქ არ არის აუცილებელი ორი „მაგარი“ ტექსტი შეიტანოთ. შეიძლება ერთი იყოს შედევრი, მეორე – ჩვეულებრივი, მაგრამ საუცხოოდ, საუკეთესოდ დაგეხმაროთ ეროვნული სასწავლო გეგმით დასმული ამოცანის შესრულებაში).

უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ ქართული ლიტერატურის სწავლება ჩვენ სკოლებში მონოეთნიკური საქმიანობაა. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი პრაქტიკა ქართულ სკოლებში, რომ მხოლოდ ცალი თვალით ვხედავდეთ მოვლენებს, რაც აღბეჭდილია ჩვენს ლიტერატურაში. როდემდე შეიძლება „აბოს წამება“ ვასწავლოთ ისე, რომ მოსწავლეს არაბულ სამყაროზე არაფერი ვუთხრათ, როდემდე შეიძლება „დიდოსტატის მარჯვენა“ ვასწავლოთ ისე, რომ ბიზანტიურ სამყაროზე არ ვესაუბროთ.

კითხვა ძალიან ბევრია. დღევანდელი ჩვენი კონფერენციის ამოცანა ოდნავ მოკრძალებულია – არის თუ არა ყველაფერი ის, რაც დღეს მოგახსენეთ, ჩვენი დღევანდელობის პრობლემა და სჭირდება თუ არა ამას შეცვლა? თუ როგორ შევცვალოთ, ამას სხვა კონფერენციას მივუძღვნით.“

მოდერაციის დასრულების შემდეგ, მოდერატორებმა გაგვაცნეს საბოლოო სექციური დასკვნა, პედაგოგების მოსაზრებები და ხედვა.

ეკა ფხალაძე, პირველი სექციის მოდერატორი: *„ჩვენს სექციაში ვისუბრეთ სტანდარტის შესახებ, დღევანდელ მოთხოვნებთან მის შესაბამისობაზე.*

პედაგოგებს მიაჩნიათ, რომ სტანდარტი დასახვეწია, ზოგიერთ მონაკვეთში ფორმულირების პრობლემაა. დღევანდელი მონაცემებით, გაგება-გააზრების პრობლემა აღინიშნება არა მარტო სასკოლო ასაკის, არამედ ზრდასრულ ადამიანებთანაც. ეს დასკვნა კონკრეტულ კვლევასა და კონკრეტულ პრაქტიკულ მაგალითებს ეყრდნობა.

პროგრამა გადატვირთულია, სწავლების მეთოდები, მშობლების აქტივობა და კარგი სახელმძღვანელოს თემა გასააქტიურებელია. ფაქტობრივად, არ არის საშუალება დამატებითი ლიტერატურის სწავლებისა, რადგან მოსწავლეთა რაოდენობა ხელს უშლის სტანდარტით გათვალისწინებული ნორმების შესრულებას. უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები მესამე საფეხურზე, რაზეც ვამახვილებთ ყურადღებას, ფაქტობრივად, პირველ და მეორე საფეხურზე გათვალისწინებული მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. რაც უფრო მეტი მოთხოვნა იქნება სტანდარტში, მით უფრო გართულდება შესწავლის პროცესი, მაგრამ მოსწავლე უფრო მეტად განვითარდება. სხვადასხვა სტილით წერა მოსწავლემ აუცილებლად უნდა შეძლოს და სტანდარტი უნდა მივიღოთ ნორმად და არა მინიმუმად ან მაქსიმუმად.“

თათია გიგანი, მეორე სექციის მოდერატორი: *„ჩვენი სექციის წევრებმა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათების და, წლის ბოლოს, საგნობრივი სტანდარტის დონის მისაღწევ შედეგებზე ვისაუბრეთ. უფრო ზუსტად კი, სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებზე და მათ მიღწევადობაზე. განვიხილეთ X-XII კლასის კონკრეტული მაგალითები. ჩვენი თანხვედრა იმ მიზანთან, რასაც გვისახავს ეროვნული სასწავლო გეგმა, იმ საათობრივ ბადესთან, რასაც შემდგომ გვთავაზობს, წარმოუდგენელია. დასახული მიზნები და ამოცანები სასწავლო დროსთან შეუსაბამობაშია, მასზე ვერ გადის ვერც მოსწავლე და ვერც მასწავლებელი. იმ სტანდარტზე იმ კონკრეტული მითითებებით ვერ გავალთ, რადგან ამისათვის არც დრო არის და არც საჭიროება. შევთანხმდით, რომ უნდა აღვზარდოთ არა ლიტერატურის მცოდნე, არამედ გემოვნებიანი მკითხველი, რომელმაც შემდგომში უნდა გაიკვლიოს გზა უკვე უმაღლეს სასწავლებელში.“*

ლალი დათაშვილი, მესამე სექციის მოდერატორი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ასოციაციის თანადამფუძნებელი: *„ჩვენი სექცია სკოლის პროგრამისთვის მხატვრული ლიტერატურის ტექსტის შერჩევის კრიტერიუმებზე მუშაობდა. გამოიკვეთა შემდეგი მოსაზრებები: სასწავლო პროგრამისთვის შერჩეული ტექსტი უნდა იყოს ბავშვისთვის საინტერესო და ასაკზე მორგებული, მაგალითები უახლესი ლიტერატურიდან უნდა იყოს; 28 მწერალი ძალიან ბევრია, არ არის საჭირო მათი მონოგრაფიულად შესწავლა. შევთანხმდით იმაზეც, რომ სჯობს იყოს ერთი ქართული ნაწარმოები და მასწავლებელს უცხოურ თუ თანამედროვე ლიტერატურასთან მისი დაკავშირების შესაძლებლობა ჰქონდეს.*

ჩვენ ორი მძიმე ამოცანის წინაშე ვდგავართ. ერთი მხრივ, უნარების ჩამოყალიბება ბავშვებში, რაც გვევალება სტანდარტით და მეორე მხრივ, მასალის გავლა, რაც გვევალება ლიტერატურის ჩამონათვალით. მესამე, ძალიან მძიმე ამოცანაა ის, რომ მასწავლებელმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს რომელი უნარი რომელი მასალის მიხედვით განუვითაროს მოსწავლეს და თუ რა დონეზე – ეს უკვე ყველამ კარგად ვიცით. ყველამ ერთად უნდა მოვიფიქროთ, რამდენად გამარტივდეს სტანდარტი და რამდენად გამარტივდეს ან შეიცვალოს ლიტერატურის ჩამონათვალი, რასაც ვასწავლით. ძალიან გვიჭირს დავით გურამიშვილის მოსწრება. მეთერთმეტე კლასში სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგავართ – ან ყაზბეგი უნდა გამოვტოვოთ და გადავიტანოთ მეთორმეტე კლასში, ან – ვაჟაფშაველა, ან მივაფუჩეჩოთ ერთიც და მეორეც. საკმაოდ დიდი პრობლემაა სქელტანიანი ნაწარმოებების სწავლება, ბევრი დრო უნდა, ეს დრო კი არ გვაქვს იმიტომ, რომ მეთორმეტე კლასი, ამავდროულად, აბიტურკლასია და იძულებული ხარ, განვლილი მასალაც გაიმეორო. როგორც ხედავთ, პრობლემები დაგროვდა და მათი დროული გადაწყვეტა აუცილებელია.“

სოსო ქუთათელაძე, სკოლა-ლიცეუმი „თამარიონი“: *„დღევანდელი კონფერენცია ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, რადგან ზუსტად ის საკითხები მაინტერესებდა, რომელიც აქ იყო განხილული – რამდენად შესაბამისობაშია სტანდარტი იმ დავალებებთან, რომელიც მოეთხოვება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს? რა თქმა უნდა, სასწავლო პროგრამა გადატვირთულია, საათების რაოდენობა საკმარისი არ არის, რომ იმ გზაზე გახვიდე, რომელიც სასწავლო პროგრამითაა მოცემული. სტანდარტი დასახვეწია.“*

რუსუდან ჭუმბურიძე, ქართული ენის ექსპერტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი: *„პროფესიულ ასოციაციასთან და საერთოდ ამ საკითხით დაინტერესებულ ჯგუფებთან ჩვენი შეხვედრა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია. ეს შეხვედრები გვაძლევს საშუალებას, ეროვნული სასწავლო გეგმა უფრო მეტად დაიხვეწოს, მოსწავლესა და მასწავლებელზე უფრო მორგებული იყოს. ჩვენ მზად ვართ შემდეგი შეხვედრებისთვის.“*

თინათინ ცერაძე, ქართული ლიტერატურის ექსპერტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი: *„მინდა, ინფორმაცია მოგაწოდოთ ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნის პროცესზე, რადგან შეხვედრაზე დაისვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ წერს ეროვნულ სასწავლო გეგმას. ამ დოკუმენტის შექმნას ხანგრძლივი, შრომატევადი და სისტემური მუშაობა უძღვის წინ. ასე მაგალითად, 2011-2016 წლების ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის მომზადებაზე რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა ჯგუფი, რომლის წევრებიც იყვნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები – უმაღლესი სკოლების პროფესორ-მასწავლებლები, სამეცნიერო ინსტიტუტების მეცნიერი თანამშრომლები – ლიტერატორები, ლინგვისტები, ფსიქოლოგები, აგრეთვე განათლების ექსპერტები. მუშაობის პირველ ეტაპზე მომზადებული პირველადი ვერსია განსახილველად და შესაფასებლად გადაეცა სპეციალურ ფოკუს-ჯგუფებს, რომლებიც დაკომპლექტდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისაგან, გადაეგზავნა რეგიონული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრებს ადგილობრივი რესურსცენტრების მეშვეობით; დაბოლოს, სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა განათლების სამინისტროს ვებგვერდზე, რათა საგნობრივი პროგრამის განხილვის პროცესში მონაწილეობა მიეღო ფართო საზოგადოებასაც. განხილვის ეტაპზე გამოთქმული შენიშვნების, რეკომენდაციების, სურვილებისა და მოსაზრებების გათვალისწინების საფუძველზე მომზადდა ქართული ენისა და ლიტერატურის 2011-2016 წლების საგნობრივი სასწავლო პროგრამის საბოლოო ვერსია, ამ ვერსიის საფუძველზე – საგნობრივი გზამკვლევები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის.*

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ყოველ ხუთ-ექვს წელიწადში ტარდება ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია, რათა აღნიშნული დოკუმენტი პასუხობდეს იმ გამოწვევებს, რომლებსაც სწრაფად ცვალებადი თანამედროვე სამყარო უყენებს საგანმანათლებლო სისტემას.

ამჟამად მიმდინარეობს საბაზო და საშუალო საფეხურების 2011-2016 წლების საგნობრივი პროგრამების რევიზიის პროცესი. რევიზიას წინ უძღოდა მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა ჩაატარა მონიტორინგი მე-6, მე-9 და მე-12 კლასებში იმ მიზნით, რომ დავკვირვებოდით: რამდენად და როგორ რეალიზდება კონკრეტულ საგაკვეთილო პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები; რა უშლის ხელს მათ დანერგვას და რა მიმართულებითაა საჭირო ცვლილებების განხორციელება. ამას გარდა, ჩავატარეთ 7 სხვადასხვა ქვეყნის კურიკულუმის კვლევა იმ მიზნით, რომ გავცნობოდით საერთაშორისო გამოცდილებას, თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს.

ამჟამად მომზადებული გვაქვს საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის პროექტი. როგორც უკვე აღნიშნა ბატონმა გიამ, მასში შესულია ძალზე მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, რადიკალური ცვლილებები ენისა და ლიტერატურის სწავლების კონცეფციის, ასევე სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზაციის საშუალებების კუთხით. მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული სავალდებულო პროგრამის განტვირთვის მიმართულებით; მომზადებულია ბაზა, რათა ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, მათი ინტერკულტურული კომპეტენციის ამაღლებას. სტანდარტის პროექტის განსახილველად უკვე დავიწყეთ შეხვედრები ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან. გვსურს კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ ამ განხილვაში მონაწილეობა მიიღო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ასოციაციამაც. ვფიქრობთ, ეს იყო ძალიან კონსტრუქციული და საინტერესო შეხვედრა, რომელმაც დაგვანახა, რომ სტანდარტში შესული ცვლილებები ასახავს სკოლის საჭიროებებსა და მასწავლებელთა მოლოდინს. ამგვარ შეხვედრებს მომავალშიც გავაგრძელებთ. ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ამგვარი პროფესიული და მიუკერძოებელი განხილვების გზით შევძლებთ, მივაღწიოთ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და შევქმნათ ღირსეული პროდუქტი 21-ე საუკუნის ქართული სკოლისთვის.

სამწუხაროდ, დრო არ გვაძლევს საშუალებას, რომ შევეხოთ ყველა იმ საკითხს, რომლებზედაც ისაუბრა ბატონმა გიამ. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ კონტექსტის გარეშე მოყვანილი ციტატები ვერ შეგვიქმნის სრულ წარმოდგენას ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ პროგრამაზე. მეორეც, მხოლოდ საშუალო საფეხურის საგნობრივი პროგრამის სრულყოფილი განხილვაც შეუძლებელია, დაწყებითი და საბაზო საფეხურის სტანდარტების გათვალისწინების გარეშე. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ არსებობს სტანდარტის მოთხოვნათა მიღწევის დონეები – თავისთავად ცხადია, რომ ყველა მოსწავლე სრულად ვერ დააკმაყოფილებს სტანდარტის ყველა მოთხოვნას. ამის მოლოდინი, ბუნებრივია, არ უნდა გვქონდეს. ეს ზოგადად, კონკრეტულად კი, გვსურს ცალკე შევეხოთ ამჟამად მოქმედი სტანდარტის ერთ-ერთ მოთხოვნას, რომელზედაც ბატონმა გიამ ვრცლად ისაუბრა. მხედველობაში გვაქვს მოთხოვნა, რომ მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა სტილის გამოყენება სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნისას. აქ ძალიან მარტივი რამ იგულისხმება. კერძოდ, მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს განსხვავებას, ვთქვათ, განცხადებასა და ჩანახატს შორის; აქედან გამომდინარე კი, იყენებდეს სხვადასხვა სტილს ამ ტექსტების შედგენისას. ცხადია, საშუალო საფეხურის მოსწავლისთვის ეს მოთხოვნა სავსებით ადეკვატურია, თუმცა შესაძლებელია, რომ უფრო მკაფიო ფორმულირებაზეც ვიფიქროთ.

დასასრულ, გვსურს კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი მზადაა ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. იმედი გვაქვს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ასოციაცია ამ პროცესის აქტიური თანამონაწილე იქნება.“

უმაღლესი განათლება

განსახელმწიფოება – აკადემიური თავისუფლების რეცეპტი საქართველოში



უმაღლესი განათლების გამოწვევები

გიორგი გახელაძე: საქართველოშიც და მთელ მსოფლიოშიც, უმაღლესი განათლების ნომერ პირველი გამოწვევა არის ახალგაზრდებისთვის ადეკვატური გამოცდილების და ცოდნის შეძენა – თანამედროვე სამყარო ეს არის ინფორმაციული ეპოქა დაჩქარებული განვითარებით, გლობალური ეკონომიკით, პერსონალიზებული სივრცეებით. მარტივად რომ ვთქვათ, რაც დრო გადის, იმისათვის, რომ წარმატებული და რეალიზებული აღმოჩნდეს ახალგაზრდა, სჭირდება ძალიან კონკრეტული ცვალებადი პროფესიების შესწავლა და ეკონომიკური და სოციალური მოქნილობის შესაბამისი გამოცდილება – სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში. ეს ნიშნავს, რომ უმაღლესი განათლება, ერთი მხრივ, ბაკალავრიატის დონეზე, უნდა იყოს სწავლის მსწავლებელი. უახლოესი 30 წლის განმავლობაში, არსებითი და ფუნდამენტური იქნება ახალგაზრდებისთვის ე.წ. სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება, ეკონომიკური ცოდნის მიღება იმიტომ, რომ მათი მომავალი და წარმატება აკადემიურ კარიერასთან ან ბიზნესთანაა დაკავშირებული. მომავლის განვითარება მაღალი ბრუნვების მქონე, მაგრამ მცირეჯგუფიანი ბიზნესებია. მომავალი აღარ არის ტრანსნაციონალური უშველებელი კომპანიების. მოკლედ, ცოდნის ეკონომიკა, ფართო გაგებით, არის ჩვენი უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მთავარი გამოწვევა, თავისი სოციალური, მატერიალური, ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარების ხედვით და ამის პასუხად.

მეორე გამოწვევა – ყველაფერი რაზეც ვისაუბრე, ითხოვს ე.წ. საბაზისო შინაარსების შესწავლის და სპეციალობების დაუფლების რადიკალურ ცვლილებას. თავად ეს კლასიფიკაციებია შესაცვლელი. სულ სხვაგვარია დღევანდელი ინტერდისციპლინური თუ მონოდისციპლინური ცოდნა, რაც მომავალს პასუხობს. ისე როგორც მსოფლიოს ბევრი უნივერსიტეტი, ჩვენც ერთგვარი ინერციით მივსდევთ არსებულ კლასიფიკაციას. კარგი უნივერსიტეტები, რომლებიც წარმატებული ადამიანების ერთობასა და მომსახურებაზე არიან ორიენტირებული, ფუნდამენტური, პარადიგმული ცვლილებებისკენ მიდიან. ჩვენ, როგორც იმ ტრადიციულშიც ჩამორჩენილებს, გვაქვს შანსი, გავაკეთოთ ნახტომი, იგივე მტკივნეული და უნაყოფო გზა კი არ გავიაროთ, არამედ გადავხტეთ. ადამიანებს სიარულიც სჩვევიათ და გადახტომაც, ჩვენ უნდა გადავხტეთ. კარგი იქნებოდა ბაკალავრიატის საფეხურის შემცირება – სასწავლო მოცულობის შეკუმშვა. გარშემო მიმოვიხედოთ, სწრაფად მზარდი კეთილდღეობის ქვეყნების განათლების სისტემებში თუ ჩავიხედავთ ვნახავთ, რომ ისინი აღარ არიან მიჯაჭვულები, მაგალითად, 240-კრედიტიან ოთხწლიან ბაკალავრიატზე, ინტენსიური და შემოკლებული – სამწლიანი ბაკალავრიატის საფეხური აქვთ. სამაგისტრო საფეხურის პროგრამებიც კი, როდესაც ადამიანი უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული საქმის პროფესიონალად და ეს პროფესიონალიზმი მას, სულ მცირე, 5-6 წელი მაინც უნდა გამოადგეს (თუ არ ჩავთვლით უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, ანუ მუდმივ სწავლას პროფესიის შიგნით), მოკლდება და უფრო ინტენსიური ხდება. მთავარია, სწავლის ხანგრძლივობის შემცირება და გაიაფება – საინფორმაციო ეპოქა იძლევა საშუალებას, რომ სტუდენტის სწავლა, იმავე ხარისხის, რაც ახლა აქვს, დროშიც შემოკლდეს და უფრო იაფიც გახდეს. ილუსტრაციისთვის – ახლა სტუდენტები, უნივერსიტეტები, ყველანი უამრავ დროს ვხარჯავთ იმისთვის, რომ შევიკრიბოთ რაღაც კურსის განმავლობაში, კვირაში ერთხელ ან რამდენჯერმე, რამდენიმე საათით, ერთ აუდიტორიაში, უმეტეს შემთხვევაში იმისთვის, რომ პროფესორმა მოუყვეს სტუდენტებს თავისი ან სხვების დაწერილი თუ შექმნილი ცოდნის მოკლე შინაარსი. ვის სჭირდება ეს? მაშინ, როდესაც ამ შინაარსს 10-დან 7 სტუდენტი ინტერნეტში გაეცნობა, თავისთვის კომფორტულ დროს და ამისთვის არ დასჭირდება სამარშრუტო ტაქსი, ავტობუსი თუ საკუთარი მანქანა უნივერსიტეტში მისასვლელად. პლუს ამას, უკეთეს შემთხვევაში, პრაქტიკული გამოცდილების შესაქმნელად, ვამატებთ რაღაც სამუშაოებს. მარტივად რომ ვთქვათ, წაკითხულის შინაარსის გადაცემაზე დახარჯული დრო არავის აღარ სჭირდება, ეს ფუჭად დაკარგული დროა და, რაც მთავარია, ის მოძველებული ცოდნის გადაცემაზე იხარჯება, თან ამაში ვიხდით ფულს, როცა შეგვიძლია ბევრად იაფად გავაკეთოთ, გნებავთ სახელმწიფოს მხრიდან, გნებავთ სტუდენტის მხრიდან.

სასწავლო პროცესის ნაწილი უნდა იყოს ბევრად უფრო შეკუმშული და ბევრად უფრო დამოკიდებული კვლევაზე. სასწავლო პროცესშიც უნდა იქმნებოდეს ახალი ცოდნა. არსებული ცოდნის გადახურდავება-ტრანსფერსა და გამტარობაზე კი არ უნდა ვხარჯოთ დრო (ამის დრო აღარ არის), არამედ შევქმნათ ახალი – როცა ვქმნით, სწორედ მაშინ ვსწავლობთ.

მაია გამეზარდაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების მაგისტრანტი: ბატონმა გიორგიმ ახსენა სწავლის სწავლება. ადმინისტრირების და მოწყობის თვალსაზრისით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, დავამატებ, რომ საშუალო განათლებაშიც (იმისთვის, რომ თუნდაც გამოცდები ლოგიკურად ებმოდეს უმაღლესში ჩასაბარებელ გამოცდებს) ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებელს და ბავშვებს მხოლოდ საგნობრივ სწავლებაზე კი არ ჰქონდეთ აქცენტი, არამედ უნდა იცოდნენ როგორ ისწავლონ, როგორ დაამუშაონ ინფორმაცია. ეს უნარები ძალიან მნიშვნელოვანი იმიტომაა, რომ უკავშირდება კრიტიკულ, შემოქმედებით მიდგომას ნებისმიერი საკითხისადმი, ეს უნარი კი აადვილებს უმაღლეს განათლებაში გაცნობიერებულად გადასვლას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ვეთანხმები იმასაც, რომ სწავლება დროში გაწელილია, თუნდაც ორი თვე დასვენება, რაღაც ნაწილი უნდა შეიკუმშოს, ხოლო კვლევითი მიმართულება უფრო გახანგრძლივდეს. იმისთვის, რომ მაგისტრის ხარისხი მივიღოთ, სწორედ კვლევა უნდა გავაკეთოთ და მკვლევარები უნდა ვიყოთ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ კვლევითი კომპონენტი უნდა იყოს უფრო ხანგრძლივი, რათა სწავლის შედეგიც ეფექტური მივიღოთ.

გიორგი ნინიკაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრანტი: ილიას უნივერსიტეტში, 7 წელიწადში, 5 სხვადასხვა ფაკულტეტი გამოვიცვალე. ძირითადი პრობლემა ლექტორების მიერ მხოლოდ უფლების აღიარებაა და არა მოვალეობების. ლექტორი ხედავს, რომ აქვს გარკვეული უფლებები, მაგრამ ვერ ხედავს საკუთარ მოვალეობებს, რა უნდა გააკეთოს სტუდენტთან. მეორე დიდი პრობლემა – ადმინისტრაცია ლექტორის უფლებების დამცველია თუ ლექტორის ინტერესების გამტარებელი? უნდა იცავდეს სტუდენტს თუ ლექტორს? 9 თვე ვმუშაობდი საინფორმაციო ცენტრში სტუდენტების მომსახურებაზე და ძირითადი საჩივარი მათი მხრიდან იყო ის, რომ ლექტორები არაკეთილსინდისიერად ექცევიან – ნაშრომის არაღიარება, ლექციებზე არდასწრება, გაცდენა, სტუდენტების შეურაცხყოფა და კიდევ ბევრი სხვა. ასეთ შემთხვევაში, რას აკეთებს ადმინისტრაცია? ადმინისტრაცია მაინც ლექტორის მხარეს იჭერს და სტუდენტების ინტერესები უკან არის დაწეული. თანამედროვე განათლების სისტემაში ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თანასწორობა. სულ რამდენიმე ლექტორს გამოვყოფ, ბატონი გიორგის ჩათვლით, რომლებთანაც სტუდენტი გრძნობს, რომ სწავლის პროცესის მონაწილეა და არა მხოლოდ მიმღები, ასევე გამტარი – ლექტორიც სწავლობს, იღებს შენგან და შენც გაძლევს. ეს სამაგისტრო საფეხურზე ყველაზე მნიშვნელოვანია და არა მხოლოდ სამაგისტრო საფეხურზე, ეს არის ინტერაქცია ლექტორსა და სტუდენტს შორის.

უნივერსიტეტებისთვის მთავარი გამოწვევაა კონკრეტულად ფორმულირებული და განვითარებაზე მორგებული განათლება მიაწოდოს სტუდენტს. რასაც ვსწავლობთ,უნდა ვიცოდეთ, რატომ ვსწავლობთ და რაში შეგვიძლია გამოვიყენოთ. ოთხი წლის შემდეგ უნივერსიტეტი სტუდენტს არ უნდა ტოვებდეს ბედის ანაბარა – დაამთავრე და ახლა წადი, რაც გინდა ის გააკეთე. უნივერსიტეტი მომავალი ცხოვრების აწყობაშიც უნდა დაეხმაროს სტუდენტს. უნივერსიტეტი ჩემგან მხოლოდ თანხის მიმღები კი არა, ამ თანხის სწორად დამფორმულირებელი უნდა იყოს, უნდა მეხმარებოდეს, როცა ვრჩები ცხოვრების წინაშე სრულიად მარტო. ეს არ არის სკოლა, განვითარების საბაზისო საფეხური. თუ უნივერსიტეტი იღებს პასუხიმგებლობას, აუცილებლად ბოლომდე უნდა შეასრულოს.

ავტონომიურობის გარეშე მეტი აკადემიურობა ვერ დაიბადება

გიორგი გახელაძე: ეს შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიურობის პირობებში. შეუძლებელია თანამედროვე სამყაროში კონკურენტუნარიანი, ჭკვიანი ადამიანების მომსახურება გახევებულ, რეგულირებად, სხვებზე დამოკიდებულ, უნიფიცირებულ სისტემებში. უნივერსიტეტი რომ განვითარდეს, მას სჭირდება მეტი ავტონომიურობა თავის უფლებამოსილებებში და მეტი აკადემიური თავისუფლება, თუმცა მეტი აკადემიურობა ვერ დაიბადება ავტონომიურობის გარეშე. ასეთი განვითარება კი წარმოუდგენელია კონკურენციისა და თანამშრომლობის მაქსიმალური ნაზავის გარეშე, იმავდროულად, მხოლოდ დაუპირისპირებელ და მშვიდობიან თანამედროვე სამყაროშია შესაძლებელი ახალგაზრდების წარმატება და ბედნიერება. ავტონომიურობის და აკადემიური თავისუფლების რეცეპტი, საქართველოს პირობებში, ეს არის განსახელმწიფოება, რაც ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან – ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, სამინისტროს თუ მისი რომელიმე ორგანოს სახით, რაც შეიძლება ნაკლებ, მინიმალურ ჩარევას უნივერსიტეტების ცხოვრებაში. მაგრამ, თანხის დახარჯვა სახელმწიფოს მაინც მოუწევს, იმიტომ, რომ სახელმწიფოს თანხა ჩვენი თანხაა, კარგი უნივერსიტეტი და კარგი უმაღლესი განათლება ჩვენი სიკეთეა, ამიტომ ვიხდით გადასახადებს. სახელმწიფოს მოუწევს თანხის დახარჯვა, მაგრამ მოუწევს იმ წესების თამაშით, რომელსაც თვითონ კი არ დაადგენს, არამედ დავადგენთ ჩვენ, მოქალაქეები და უნივერსიტეტები. შესაძლებელია, პირველ ეტაპზე, სახელმწიფო იყოს თანამონაწილე და არა ერთადერთი მონაწილე უნივერსიტეტების ხარისხის მართვის, მხოლოდ პირველ ეტაპზე, მერე საერთოდ დამოუკიდებელი ინსტიტუციები უნდა იყვნენ უნივერსიტეტების მმართველები და იმის დამდგენები, რომელი უნივერსიტეტია, იმ დროისთვის, კარგი შეთავაზებების, კარგი კვლევებისა და ცოდნის ადგილი.

ახალი სამყაროს უნივერსიტეტი

გიორგი გახელაძე: ახალი სამყაროს უნივერსიტეტების მისია ახალი ცოდნის სწრაფი გენერირებაა, ინოვაციურობა და სტარტაპობა. სამწუხაროდ, დღეს ჩვენთან უნივერსიტეტების უმრავლესობა მხოლოდ წაკითხულის, დაძველებული ცოდნის გადაცემაზე, ანუ ლექტორობაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ინოვაციურობა რომ არ არის, ფაქტია, არადა, სწორედ უნივერსიტეტში უნდა ხდებოდეს ინოვაციურობისა და სტარტაპობის წახალისება და არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან. როცა ჩვენ თვითონ ვიქნებით ჩვენი თავის გამგებლები, უკეთ მოვძებნით ურთიერთობისა და ურთიერთქმედების ოპტიმალურ საშუალებას, უკეთ მივხვდებით ეს ყველაფერი როგორ წარვმართოთ ჩვენს სასარგებლოდ.

თანამედროვე უნივერსიტეტი არ არის ლექტორების და ლექტორინგის ადგილი, თანამედროვე უნივერსიტეტი პროფესორებისა და სტუდენტების ადგილია, ისევე, როგორც იყო დასაბამიდან. პროფესორი სხვა პროფესიების ადამიანებისგან ერთადერთი რამით გამოირჩევა – ის არის ადამიანი, რომელსაც უნდა და შეუძლია შექმნას ახალი ცოდნა და გამოცდილება, ამაშია განაფული. ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტებს კვლევა-კეთებაზე დაფუძნებული ინტენსიური სწავლა შევთავაზოთ მცირე დროში ხელმისაწვდომად, თანაც მორგებულად. როგორ დაეხმაროს ადამიანს უნივერსიტეტი ამ გამოცდილების მიღებაში – უნდა მისცეს საშუალება, განსაკუთრებით ბაკალავრიატის საფეხურზე, ძირითადი უნივერსალური სასწავლო საშუალებების დაუფლებასთან და უნივერსალურ ინტერდისციპლინარულ ცოდნასთან ერთად, იმავე პერიოდში, თავისი ინტერესების შესაბამისად, დამატებითი სპეციალობები აითვისოს, არა ერთი, შეიძლება ორიც. ეს სტუდენტს დაეხმარება, შემდეგ საფეხურზე გადასვლისას, ზუსტად იცოდეს, რაში განაფვა არგია და უნდა მას.

აკადემიური ხარისხის და პროფესიული ხარისხის სისტემების ცვლილება თანამედროვე უნივერსტეტების და საერთოდ თანამედროვე აკადემიის გამოწვევაა – ბაკალავრი, მაგისტრი და დოქტორი – ამგვარი რანგირება ადამიანებისა, აღიარებული შესაძლებლობების მიხედვით, აღარ ვარგა. დღეს ჩვენ ვხედავთ აკადემიური ხარისხების გაუფასურებას. ცოდნა-გამოცდილების, შესაძლებლობების და, აქედან გამომდინარე, მოლოდინების რეალურ სამყაროსთან ურთიერთმიმართება უფრო და უფრო კონფლიქტური ხდება. შევხედოთ შრომის ბაზარს – ხშირ შემთხვევაში, დამსაქმებელი მეტწილად ეძებს ისეთი ტიპის უნარ-ჩვევებსა და ცოდნას ასაყვან ადამიანში, რომელიც არ და ვერ აღიწერება საუკეთესო უნივერსიტეტების დიპლომებშიც კი. დამსაქმებლებს, რომლებიც ბევრად უფრო სწრაფად რეაგირებენ სამყაროს განვითარებაზე, უწევთ საკუთარი შეფასების სისტემების დანერგვა, რადგან უმაღლესი განათლების სისტემა ახალ საჭირობებს ადეკვატურად ვერ პასუხობს.

მე-20 საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, ფუნდამენტურ ტერმინებად იქცა არაფორმალური და ფორმალური განათლება. ევროპაშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, განვითრებულ აზიაშიც გამუდმებულად საუბრობენ არაფორმალური განათლების ფორმალურ განათლებაში აღიარებაზე, რომელიც 21-ე საუკუნეში დაბადებული აქტუალური კონცეფციის – „უწყვეტი განათლების“ – ნაწილია. ადამიანებისთვის უფრო მეტად სწორედ ის არაფორმალური, მოქნილი ადეკვატური განათლებაა გამოსადეგი, რომელიც მათ თანმდევ პორტფოლიოში რაღაცნაირად ვერ „ეკერება“ და „ეწებება“.

სასტარტო მდგომარეობას პლუს სწავლის დინამიკა – დაფინანსების ახალი სისტემის საჭიროება

გიორგი გახელაძე: დღეს არსებული დაფინანსების სისტემა საკმარისი ხანია მოქმედებს საიმისოდ, რომ დაგვენახა მისი ძლიერი თუ სუსტი მხარეები. სისტემა ცვლილებებს მართლა საჭიროებს – სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი გრანტი, ანუ გა-

უმაღლესი განათლება

დამხდელებისაგან აკრეფილი ფულის განაწილება უმაღლეს განათლებაში მიბმულია სტუდენტზე და მის შესაძლებლობებზე, რაც თავისთავად არასწორი მიდგომაა. გრანტი – სწავლისთვის საჩუქარი უნდა იყოს, პირველ რიგში, სტუდენტისთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს საჩუქარი მას ეძლევა უმაღლეს განათლებაში შესვლისას დადასტურებული რაღაც კრიტერიუმების საზომების მიხედვით და ეს საზომები ერთიანი ეროვნული გამოცდებია. სხვა საქმეა, ეს საზომი კარგია თუ ცუდი, ან რას ზომავს, მაგრამ ეს თანხა, მთელი სწავლის საფასური, სტუდენტს სასტარტო შესაძლებლობების მიხედვით ეძლევა. ხშირია შემთხვევები, როდესაც სტარტზე კარგი მდგომარეობით შესული სტუდენტები, შემდეგ, სხვადასხვა მიზეზების გამო, კარგად აღარ სწავლობენ ან ვერ სწავლობენ. გამოდის, რომ ჩვენ, თურმე, წარუმატებელ სწავლაში ვუხდით მათ ფულს. ასევე ძალიან ბევრი შემთხვევაა (ათასობით ადამიანია), როცა აბიტურიენტმა სტარტზე სხვაზე უკეთ ვერ აჩვენა თავი, პირიქით, დაბალი შესაძლებლობები აჩვენა და გრანტი ვერ მოიპოვა, მაგრამ შემდგომ მისი შესაძლებლობები, მოტივაცია და ძალისხმევა ბევრად უფრო დინამიური და მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა სტუდენტისა. გამოვიდა, რომ ის უკვე წარმატებულად სწავლობს, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვუფასებთ. ეს უსამართლოა, ამიტომ, რა თქმა უნდა, შესაცვლელია, მაგრამ მოსაფიქრებელი გვაქვს სისტემა, რომელიც ასახავს სასტარტო მდგომარეობას პლუს სწავლის დინამიკა, ანუ რამდენად ეფექტურად იყენებს სტუდენტი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ დაფინანსება-წახალისებას. ამის საზომები უნდა შემოვიტანოთ და ვუთხრათ ჩვენს მოქალაქეებს, რამდენად კეთილშობილი და შედეგიანი მიზნისთვის ვხარჯავთ მათი გადასახადებიდან აკრეფილ ფულს.

რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა – როგორ უნდა იყოს ობიექტურად გაზომვადი სწავლის დინამიკა, რა კრიტერიუმებით უნდა ფასდებოდეს სტუდენტი, რომელმაც, ოთხწლიანი კი არა, ყოველწლიური საჩუქარი უნდა მიიღოს ან დაკარგოს. ეს კარგად მოსაფიქრებელია. ჩვენ რომ განსახელმწიფოებული საუნივერსიტეტო სისტემა გვქონდეს, მაშინ დამაჯერებლობა, სამართლიანობა სტუდენტების შეფასებისა უნივერსიტეტებს შორის კონკურენტულ გარემოზე იქნებოდა დაფუძნებული და ჩვენი მოქალაქეები თავად დაადგენდნენ ამ კონკრეტულ უნივერსიტეტში ობიექტურად აფასებენ თუ არა, შესაბამისად, თუ არის სანდო მათ მიერ დადგენილი კრიტერიუმები და ღირს თუა არა იქ დახარჯოს ფული სახელმწიფომ სტუდენტის წასახალისებლად. საერთოდ, ეს საგრანტო სისტემა რომ იყოს არა სახელმწიფო, არამედ საუნივერსიტეტო საგრანტო ფონდებით დაფინანსებული, მოქალაქეებს ექნებოდათ შესაძლებლობა, რომელი ფონდისაც სჯერათ, იქ შეიტანონ ფული, მეორე მხრივ, სახელმწიფოს შეუძლია, ასეთი ფონდების თანაარსებობის და არსებობის შემთხვევაში გადაანაწილოს თანხა ან მათი საზოგადოებრივი დამაჯერებლობის და სამართლიანობის რეიტინგების, ან მათ მიერ დასაფარი სტუდენტების რაოდენობების მიხედვით. ეს შეამცირებდა სახელმწიფოსაგან გასაცემ საგრანტო ფულს და შესაბამის პასუხისმგებლობა-ანგარიშვალდებულებას გადმოიტანდა მოქალაქეებზე, ადამიანებზე. ჩვენ თვითონ გადავწყვიტოთ, ვისი მეშვეობით ვინ წავახალისოთ და სად.

გაზრდის თუ არა ასეთი დაფინანსების სისტემა სტუდენტის მოტივაციას?

მაია გამეზარდაშვილი: საკუთარ თავზე გამოვცადე რამდენად არასწორია დაფინანასების პოლიტიკა. შეიძლება მართლა კარგად სწავლობდეს სტუდენტი, რომელმაც გრანტი ვერ მოიპოვა, მაგრამ მისი კარგი სწავლა აბსოლუტურად ყურადღების მიღმა დარჩეს. ეს სერიოზული საფრთხეა სტუდენტის მოტივაციის დაქვეითების, რადგანაც შეიძლება მას ფინანსური ვალდებულებებიც დაუდგეს, მიუხედავად იმისა, რომ კარგად სწავლობს. მეც მქონდა ასეთი მომენტი, იძულებული გავხდი, დამეწყო სამსახური და იმ დროის სწავლისთვის მოკლებამ გამოიწვია ის, რომ ისეთი ხარისხი აღარ მაქვს სწავლაში, მაგრამ ამის აღარც მოთხოვნილება მაქვს, რისთვის, ვის სჭირდება ეს? დაბალი ქულა გექნება თუ მაღალი, უნივერსიტეტს მაინც ამთავრებ, მაინც იღებ ხარისხს. სწორედ კარგი სტუდენტის მიმართ უყურადღებობამ და უსამართლობამ გამოიწვია ეს ყველაფერი. სწავლის გარკვეული რესურსები გჭირდება და ეს უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, უნდა დაგეხმაროს, რომ კვლევა გააგრძელო და მთელი შენი რესურსი არ წავიდეს სამსახურში. სამსახურს არ ვაკნინებ, უბრალოდ, სამსახურმა წამართვა დრო, რომელიც აღარასდროს დაბრუნდება. მასობრივად ასეა: ვმუშაობთ, სწავლისთვის დრო აღარ გვაქვს და ვცდილობთ, ეს პროცესები მექანიკურად ვაკეთოთ და მინიმალური კრედიტი ავიღოთ. ამ დროს პირიქით უნდა ხდებოდეს, კარგი, წარმატებული სტუდენტი უნდა წაახალისო, რომ მეტად ჩაერთოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და კვლევაში. ზოგადად, ეს გაჭირვებული ქვეყნის პრობლემაა და ამ პატარა მოდელშიც, უნივერსიტეტშიც კარგად ჩანს.

გიორგი ლომიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების მაგისტრანტი: მე ცოტა უფრო პრაქტიკულად ვუყურებ ამას. თუ ადამიანმა უნივერსიტეტში ჩააბარა და გადადგა ეს ნაბიჯი, იცის, რომ უნდა ისწავლოს, კონკრეტული დრო და ბიუჯეტიც გათვლილი აქვს, თუ ვერ მიიღო დაფინანსება, რაციონალური ადამიანია და წინასწარ საზღვრავს ამას. თუ შემდეგ, შუალედურ სწავლის პროცესში, მოინდომა უფრო მეტად ჩადოს რესურსი კვლევის კუთხით, რომელსაც გაცილებით მეტი დრო სჭირდება, სამსახურთან ერთად ამის მოხერხება გაუჭირდება. აქ უკვე გადაწყვეტილება აქვს მისაღები, მაგრამ სახელმწიფომ ამაში რესურსი არ უნდა ჩადოს სხვისგან გამორთმევის ხარჯზე. თუმცა, აბსოლუტურად ვეთანხმები იმ აზრს, რომ თუ სტუდენტმა დაფინანასება მიიღო და მერე აღარაფერს აკეთებს, ეს დაფინანასება ჩამოერთვას, მაგრამ ვერ ვხედავ ლოგიკას იმაში, რომ ეს ჩამორთმეული თანხა წავიდეს იმის დასაფინანსებლად, ვინც კარგად სწავლობს და თან კარგადაც იხდის. ის იხდის ფულს და გადაწყვეტილი აქვს, ისწავლოს და გადაიხადოს, არანაირი მოლოდინი არ აქვს, რომ თუ კარგად ისწავლის, დაფინანსებაში რაღაც შეღავათს მიიღებს. თუ კვლევის მიმართულებით წავალ, სახელმწიფოს მხრიდან იქნება ეს თუ უნივერსიტეტის, უნდა მქონდეს გარანტია, რომ უნივერსიტეტი და სახელმწიფო დამეხმარება იმ კავშირების მოძიებაში, რომ, ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ, მოვიპოვო გრანტები, რომლებიც კვლევაში ჩართვის შესაძლებლობას მომცემს. ამ კუთხით, გავზრდიდი სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის მხრიდან დახმარების როლს.

ძალიან საინტერესოა დროის საკითხი. თუ მუშაობ, პარალელურად, ძნელია ჩაერთო კვლევაში. პირობითად, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი სტუდენტებს ჩაგვრთავს კველვაში (აუცილებლად თავად უნდა განსაზღვროს და გადაწყვეტილება შაბლონურად არ იყოს ცენტრალიზებული), როგორც ასისტენტებს, საწყის ეტაპზე მყოფ მკვლევრებად. ამით უფრო დიდ გამოცდილებას შეიძენს და გაცილებით მეტს ისწავლის სტუდენტი, ვიდრე ლექციაზე ჯდომით. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ილიას უნივერსიტეტის მთავარი მისიაა იყოს კვლევითი უნივერსიტეტი, კვლევაში ჩართული სტუდენტების პასუხისმგებლობა მაინც სტუდენტზეა გადატანილი – შენ უნდა გინდოდეს. აი, აქ რომ წაახალისოს სტუდენტები, კარგი იქნება. თუ დავინახეთ, რომ გასულ წელს, ილიას უნივერსიტეტმა ასი ადამიანი ჩართო თავისივე მოპოვებულ გრანტში და, უხეშად რომ ვთქვა, დაასაქმა (შეიძლება ეს ფინანსური ინტერესი არ იყოს სტუდენტისთვის, მხოლოდ სუფთა პრაქტიკული სწავლითი ინტერესი), შემდეგ წელს კვლევაზე ორიენტირებული მეტი ადამიანი ჩააბარებს ილიაში და არა ისეთი, ვისაც ილიას უნივერსიტეტის დამთავრება მხოლოდ იმისთვის უნდა, რომ სამსახური იშოვოს. მოტივაციის გაჩენა ბევრი სხვა რამით შეიძლება, ვიდრე კონკრეტული სწავლის დაფინანსებით და ა.შ. კვლევის საკითხის წინა პლანზე წამოწევა, თუნდაც ბაკალავრიატის დონიდან პოტენციურად ხარისხიანი მკვლევრების ჯგუფის ჩამოყალიბება, საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტის ხარისხზეც აისახება. უნივერსიტეტი კვლევითი დაწესებულებაა, განსაკუთრებით ილიას უნივერსიტეტი, რომელსაც უნდა იყოს ნომერ პირველი კვლევაში და, ამ დროს, კვლევაში ყველაზე ნაკლები რესურსი და დრო იხარჯება.

გიორგი გახელაძე: გიორგიმ სწორად აღნიშნა – რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი ეს არის ადგილი, სადაც წარმატებაზე ორიენტირებულ ზრდასრულ ადამიანს სურს განვითარება, ამავდროულად, მას დამოუკიდებელი, პასუხისმგებლიანი არჩევანის გაკეთება შეუძლია და უნდა. ასეთი ადამიანების ერთობაა უნივერსიტეტი. თავისთავად, ეს სწავლის ხარისხსაც აამაღლებს, მეტი გულშემატკივარიც გამოჩნდება და მათი კავშირი უნივერსიტეტებთან ბევრად უფრო პასუხისმგებლიანი იქნება. შესაბამისად, რომ გაცილებით მეტი ფული შევა პირდაპირ უნივერსიტეტებში, ადამიანები მეტ ფულს დახარჯავენ მათთვის უფრო სამართლიანი და დამაჯერებელი მიზნებისთვის.

სახელმწიფო გრანტი უმაღლეს განათლებაში შეიძლება გამართლებული იყოს იმ ნიშნით, რომ სახელმწიფო ხელს უწყობდეს მოტივირებულ, კარგი პოტენციალისა და კარგი სასწავლო დინამიკის მქონე სტუდენტს, რომ გავზარდოთ ასეთი სტუდენტების ხელმისაწვდომობა უმაღლეს განათლებაზე. გიორგი მართალს ამბობს, ვისაც ამის უზრუნველყოფა თავად შეუძლია, სახელმწიფო რატომ უნდა შეეხიდოს? მარტო აკადემიური წარმატების ინდიკატორით არ უნდა განისაზღვროს. უფრო სამართლიანი იქნება, რომ სოციალურ-ეკონომიკურად მოწყვლად ჯგუფს დაეხმაროს. ამ შემთხვევაში, უმაღლესი განათლების სისტემაში დამატებითი ინდიკატორი შემოდის – სოციალურ-ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფიდან ყველას? თუ აქედან კიდევ გამოვარჩიოთ, რომ უფრო სამართლიანი გავხადოთ წახალისება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემამ კიდევ ერთი რამ აჩვენა – ამ სისტემით, შეიძლება, ფულს ვაძლევთ მოტივირებულ, კარგი პოტენციალის მქონე, წარმატებულ მდიდარ სტუდენტს, რითაც სინამდვილეში ვზრდით არა მის ხელმისაწვდომობას, არამედ შესაძლებლობას. იმავდროულად, იმავე თანხას ვაძლევთ ან ვერ ვაძლევთ საშუალო პოტენციალის, კარგი სასწავლო დინამიკის მქონე, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტს. რა თქმა უნდა, ეს უსამართლოა. ერთიანი ეროვნული გამოცდები მის ეკონომიკურ მდგომარეობას არ ადგენს, ამ კომპონენტს საერთოდ ვერ ზომავს და აღმოჩნდება, რომ კარგს და მდიდარს ერთნაირად ვაფინანსებთ.

ერთიანი ეროვნული გამოცდები, წლების გადმოსახედიდან

გიორგი გახელაძე: ერთიანი ეროვნული გამოცდები უმაღლესი განათლების სისტემისთვის გაკეთებული გამოცდებია. მისი საჭიროება საქართველოს პოლიტიკის ისტორიაში კარგად ჩახედულმა ადამიანებმა ნამდვილად იციან. ეროვნული გამოცდების შემოღების მოტივაცია იყო შემდეგი – 2002 წლისათვის, კვლევებით დადასტურებულად, უმაღლეს განათლებაში გვქონდა ასეთი სურათი: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების მიღების, შემდგომ სწავლაში მათი შეფასებების, წარმატებების აღიარების სისტემები, უმრავლეს შემთხვევაში, იყო კორუფციული, მეორე მხრივ, ამ უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობის ხარისხის მართვის სისტემები როგორც კვლევის, ისე სწავლის ნაწილში იყო გაუმჭვირვალე, ვერ იძლეოდა საშუალებას, რომ მოქალაქეს ცოდნაზე და ობიექტურ ინფორმაციაზე დაფუძნებული არჩევანი გაეკეთებინა (თუნდაც კორუფციულ სისტემაში – მე ახლა მიღირს ქრთამის მიცემა თსუ-ში თუ კონსერვატორიაში. ესეც კი არ იყო). შესაბამისად, ამან დაბადა ტოტალური საზოგადოებრივი უკმაყოფილება. უცბად რომ ჩაგვეჭრა კორუფცია, ასეთი გადაწყვეტილების მიღება იყო სწრაფი გამოსავალი. სახელმწიფომ მთლიანად თავის ხელში აიღო სადავეები, არსებული კორუფციული სქემის ჩაჭრა. ამ ამოცანას ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა თავი გაართვა და, ბუნებრივია, უმაღლესებს შორის მეტი კონკურენცია გამოიწვია, რაც უნდა გამხდარიყო სტიმული მეტი გამჭვირვალობისა და ხარისხის მართვის სისტემების დანერგვის, ანუ დროებითი მექანიზმი უნდა ყოფილიყო საიმისოდ, რომ უნივერსიტეტებში ხარისხის მართვა დანერგილიყო, რაც გულისხმობს მიღებას, სწავლას, საქმიანობას, შეფასების სისტემებს დ ა.შ. (ეს სისტემები ბევრგან საერთოდ არ იყო დანერგილი). ნელ-ნელა პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული უნივერსიტეტების ერთობა უნდა ჩამოყალიბებულიყო. თავდაპირველად, შეიძლება საჭირო ყოფილიყო სახელმწიფოს ჩარევა, ხარისხის მართვის ასეთი სისტემა უნდა ჩამოყალიბებულიყო – სახელმწიფო აიღებდა პასუხისმგებლობას, რომ ობიექტურად მოპოვებულ ინფორმაციას, უმაღლესებში მიმდინარე პროცესების შესახებ, მოქალაქეებისთვის გამჭვირვალეს გახდიდა, რის საფუძველზეც არჩევანს ისინი თვითონ გააკეთებდნენ – პასუხისმგებლობას აიღებდნენ უმაღლესი სასწავლებლები და მოქალაქეები, ხოლო ინფორმაციის შემკრებ-გამსაჯაროვებელი სახელმწიფო იქნებოდა. ჩვენთან არასდროს არ დადგა ეს ეტაპი განათლების პოლიტიკაში, რომ უმაღლესში მიღების კორუფციული სისტემის ჩაჭრის გარდამავლობიდან უკვე ინსტიტუციური ხარისხის მართვის გამჭვირვალობამდე მივსულიყავით. დიდი ხანია, ეს პროცესი ჭიანურდება და ესეც განსახელმწიფოებას უკავშირდება. სახელმწიფომ და სხვადასხვა პოლიტიკურმა ელიტებმა დაინახეს, რომ ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც გამოხატულია აკრედიტაციასა და ავტორიზაციაში, სახელმწიფოს უჭირავს ხელში, შეუძლია საკუთარი შეხედულებების მიხედვით არეგულიროს – ვიღაცას მისცეს ან ჩამოართვას და არ გადაიყვანოს თვითრეგულირებად გამჭვირვალე სისტემაში.

მარტივად რომ ვთქვათ, ყოველწლიურად, თითოეული ინდივიდის შემოწმებაში ვხარჯავთ თანხას იმის დასადგენად, წელს ვინ ვისზე უკეთესი აღმოჩნდა უმაღლესებში გახსნილ კარში შესასვლელად. ერთიანი ეროვნული გამოცდების უნიფიცირებულ სტანდარტიზებულობაში (ანუ ერთმა სტუდენტმა აჯობა მეორეს) საზოგადოებას ეჭვი არ ეპარება, მაგრამ ამ გამოცდების შემდეგ მიმდინარე პროცესებით უკმაყოფილოა და სამართლიანადაც. უკმაყოფილოა უმაღლესი განათლების ხარისხით, საუნივერსიტეტო საქმიანობებით, გრანტის განაწილების სისტემით. ისმის კითხვა – უფრო მიზანშეწონილი ხომ არ არის იმ თანხის ნაწილი, რასაც ყოველწლიურად ვხარჯავთ 30-40 ათასი ახალგაზრდის შემოწმებაში (უკვე 12 წელია), ერთ ან ორ წელიწადს მაინც, დავხარჯოთ იმ 72 ინსტიტუციის – უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება-გაკონტროლებაში. ორი წლის შემდეგ კი, თუ დავრწმუნდებით, რომ 72-ვეს აქვს მიღების ობიექტური და სამართლიანი სისტემები, ეს თანხა დაიზოგება.

გიორგი ლომიძე: ერთიანი ეროვნული გამოცდები ზოგად სურათს უნდა იძლეოდეს და კონკრეტულ ფილტრს აყალიბებდეს. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, ზოგადი წარმოდგენა შეიქმნას, ვინ რა დონეზეა იმ კონკრეტულ პირველ ფილტრში და შემდეგ ძირითადი გადაწყვეტილება თვითონ უნდა მიიღოს, იმ მექანიზმსა და კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომელიც გამჭვირვალე და საჯარო უნდა იყოს.

სარეპეტიტორო ბაზრის ზრდის მიზეზები

გიორგი გახელაძე: ჩვენთან ვერ იქცა ჩვეულებრივ ამბად ის, რომ საშუალო საფეხური, X-XII კლასები, ნებაყოფლობითია და არ არის სავალდებულო. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ადამიანები ზოგადი განათლებიდან გზას მხოლოდ უმაღლესი განათლებისკენ ხედავენ. მეორე მიზეზია ის, რომ ჩვენი განათლების სისტემა, აღიარებების და ხარისხების ქვესისტემებით, ადამიანისთვის დივერსიფიცირებული და დიფერენცირებული არ არის.

სარეპეტიტორო ბაზრის მომრავლება, 2005 წელსვე, პროგნოზირებადი იყო. გასაგებია, რომ ზოგადი განათლების სისტემის საშუალო სტატისტიკური მოსწავლის მზაობა უმაღლესი განათლების სისტემაში შესასვლელად აუცილებლად გააჩენდა მსგავს რამეს, რადგან მას შუალედში სხვა არაფერი შევთავაზეთ და მარტო სასკოლო მზაობა დარჩა, ამან გააჩინა დამხმარე ადამიანებისა თუ ცენტრების საჭიროება. ეს თავიდანვე ცხადზე ცხადი იყო, დღეს კი სურათი უკვე სახეზეა.

უნივერსიტეტების დიაგნოსტიკური სურათი

გიორგი გახელაძე: ვამაყობ, რომ მიმდინარეობს კვლევა, რომელშიც ჩართულია ჩვენი უნივერსიტეტის ორი პროფესორი, ჩვენივე სტუდენტებით. საქართველოში, ამდენი ხნის განმავლობაში, სახელმწიფომ არ დახარჯა ფული (არადა, წესით, უნდა აინტერესებდეს) უნივერსიტეტებში არსებული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო რეიტინგების შესწავლაზე. ინსტიტუციური რეიტინგების კვლევა, ასე თუ ისე, მიმდინარეობს, მაგრამ არასოდეს ჩატარებულა კვლევა პერსონალზე.

მიმდინარე კვლევამ გვიჩვენა ტენდენცია, რით ფასობს პროფესორი – საერთაშორისო სამეცნიერო წრეში ფასობს თავისი კვლევებით და ამ კვლევების გაზიარება-გამოყენებით, ასევე გავლენით, რომელიც მას აქვს. კვლევის შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ სრული პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, ათივე საკვლევ უნივერსიტეტში, ნაკლებად პროდუქტიულები არიან, ნაკლები სამეცნიერო საერთაშორისო წონა აქვთ, ვიდრე ასისტენტ პროფესორებს, მაგისტრანტებამდე ჯერ არ მივსულვართ. ასისტენტ პროფესორები კი, მეტწილად ახალგაზრდები, ნაკლებად არიან დაფასებული, ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა, უნივერსიტეტები პროფესორებს მხოლოდ წარსული დამსახურებების გამო უხდიან მეტ თანხას, ვიდრე პროდუქტიულობასა და ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ ადამიანებს. აღმოჩნდა, რომ ჩვენ მეტ თანხას ვიხდით ძველ ცოდნაში და არა ახლის შექმნაში.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

საუბრები ლიტერატურაზე

არქიფო სეთურის მხატვრული სახის გააზრებისთვის ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ მიხედვით

მოსე ზამთარაძის ნაამბობიდან

ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“ მე-9 კლასის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საინტერესო და მრავლისმთქმელი ეპიზოდით (მოსე ზამთარაძის ნაამბობიდან), საირმის ტყეში დატრიალებული ამბით, რომელიც, ვფიქრობ, ძალზე საინტერესო მონაკვეთია. არქიფოს სახის გარკვევისას მოსწავლეები არაერთ წინააღმდეგობას აწყდებიან, რის გამოც გადავწყვიტე, მასში დამეძებნა მითოსურ-ბიბლიური არქეტიპები.

როგორც აღვნიშნე, ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“ ბიბლიური და მითოსური პლასტების დამტევი ტექსტია. მითოსურ სიუჟეტს ბიბლიური არქეტიპები ენაცვლება, რისი წყალობითაც ამ რომანს (და განსაკუთრებით ამ ეპიზოდს) განსაკუთრებული ღირებულება და მნიშვნელობა ენიჭება.

საირმის ტყის ეპიზოდში სეთური – „პატრიარქალური მამა“ – თავისი „ჯოგისთვის“ ცოცხალ მითს ქმნის. ამ მონათხრობში საინტერესოა ისიც, რომ მოვლენები საირმის ტყეში ვითარდება. ხის, ტყის სიმბოლოში სამყაროს უნივერსალური კონცეფცია იყო განხორციელებული. მისი მნიშვნელობა საფეხურებრივად ყალიბდებოდა. პირველ საფეხურზე (ანთრომორფულზე) *„ხე ან ტყე ისეთ სულიერ არსებად წარმოისახება, რომელსაც შეუძლია ადამიანისთვის ვნების ან სიკეთის მოტანა“* (ენციკლოპედია 2012: 152). აქ დატრიალებული მოვლენები ყველა იქ მყოფთათვის ზიანისა და უბედურების მომტანია. სეთურიცა და მის მიერ დაკაბალებული ხალხიც უფსკრულის წინ დგანან, მკითხველი ამ ეპიზოდით ხვდება, რომ მათ გადარჩენა არ უწერიათ. მოსე ზამთარაძის ნაამბობის მიხედვით, არქიფო ურჩხულად გვევლინება, რომელიც თავის გარშემო არსებულ ყველა სასიცოცხლო ელემენტს შთანთქავს (პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით).

იდუმალი, არარეალური და გაურკვეველია აქ განვითარებული მოვლენების ქრონოტოპი (დრო და სივრცე). გეოგრაფიული სივრცე აბსტრაქტულ ლოკალს უფრო წარმოადგენს, ვიდრე რეალურ ადგილსამყოფელს. აქ არსებული დროც პირობითია, მითიურია – ის ყველა დროში შეიძლება მომხდარიყო, ამიტომაც მკითხველი გონებაში ინტუიტიურად ათავსებს აქ განვითარებულ მოვლენებს თანამედროვე დროსა და სივრცეში.

„სეთურის ფილოსოფია თავისებური პანდორას ყუთია: ბოროტების, სიცრუისა და კადნიერების ნაზავი. დიდია ცდუნება, რომ იგი კომუნისტურ იდეოლოგიას დავუკავშიროთ“ (გვაზავა 1996: 147). საბჭოთა სახელმწიფო ათეიზმის ბასტიონად მოევლინა სამყაროს. საბჭოთა ორთოდოქსული დოქტრინის მიხედვით, მხოლოდ კომუნიზმის ფაზაში, ანუ ბედნიერების ფაზაში მყოფი კაცობრიობა გადარჩებოდა, ანუ ე.წ. „კომუნიზმის სასუფეველი“ ერთადერთ, ურყევ სიკეთედ და ხსნის გზად მიიჩნეოდა. ე.წ. კომუნისტურ შრომასა და გარჯას უნდა შეექმნა ახალი ღირსებებით შემკული ადამიანი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს შრომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ძალების ამოწურვას ხმარდებოდა მხოლოდ და ჰგავდა ბაბილონის გოდოლის შენებას. არქიფო სეთურისაგან გაბრიყვებული ხალხის იმედი ჰგავს ტოტალიტარული იდეოლოგიის მამათა დაპირებულ ნაბოდვარს. არქიფოც „ზრუნავს“ თავის ერთგულ „სალდათებზე“; მუნჯი და ქონდრისკაცი ზებო მიწისმთხრელთა აუხდენელი იმედის სიმბოლოა. ისინი თავიანთი ხელით ითხრიან სამარისთვის მიწას ისე, რომ ვერც ხვდებიან, ცოცხლად რომ მარხავს მათ თავიანთი „მამა და მარჩენალი“.



სეთური გააზრებულად არჩევს ამგვარ „იმედს“; ბუნებისაგან განწირული ყრუ ზებო მეტ ტრაგიზმს მატებს დამონებული, გაპირუტყვებული ბრბოს არსებობას და მომავალს.

ტოტალიტარული იდეოლოგიით თავგზააბნეულ ხალხს ეგონა, რომ ყველა ერთ საფეხურზეა, მათ შორის განსხვავება, დიფერენცირება არ არის, ყველა ერთი და იმავე პრივილეგიით სარგებლობს. სეთური სიამაყით ეუბნება თავის სტუმრებს (მოსე ზამთარაძესა და დათას): *„ხუთ საათზე ვაყენებ ხალხს. უნდა ხედავდეს ხალხი, რომ წესი ერთნაირია ყველასთვის, თვარა, თვითონაც შუადღემდე ძილს მომთხოვს და საქმე დაზარალდება. საქმეს რომ ვამბობ, სამუშავარს კი არ ვფიქრობ, – კაცებს ვფიქრობ, მათი ცხოვრებისთვის და კეთილდღეობისთვის ვლაპარაკობ“* (ამირეჯიბი 1973: 107). ის ამგვარი არაადამიანური ცინიზმით მათი არარაობის პოპულაციას ახდენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სეთურის „სიკეთის პროგრამა“ თანხვედრაშია ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგიასთან. აქ მყოფთა ურთიერთობაში შიშის შეგრძნება და განცდა მათი ქმედების წარმმართველია. სეთურის მუშების მიწურები ყაზარმის ასოციაციას იწვევს, სადაც მშობლებზე არანაკლებ ჰყავთ ბავშვები გადაგვარებული. სეთური – სატანა გულმშვიდად, არაადამიანობის უპრეცედენტო გამოხატულებით „ძერწავს“ ისეთ თაობას, როგორიც მას ხელს აძლევს, ანუ „ქაჯუნებს“ და „ეშმაკუნებს“, როგორც მათ უწოდებს მწერალი. სეთური ტირანი და უზურპატორია. სეთური და თაბაგარი უტყვი, უვიცი მონების „იდეალური“ საზოგადოების მოდელს ქმნიან. მარტოოდენ ადამიანის ფიზიკური არსებობისთვის აუცილებელ ლუკმა-პურს უყრიან სახედაკარგულ არსებებს და თავისუფლებაწართმეულ მოცახცახე ცხოველებად გარდაქმნიან მათ.

ამ პასაჟის სიმბოლური მნიშვნელობა გარკვეულწილად თანხვედრაშია მსოფლიო და საეკლესიო ისტორიის წინასწარმეტყველებასთან – იოანე მახარებლის „აპოკალიფსისთან“. აღსასრულის ჟამს მსოფლიოს ხელისუფლად მოვლენილი ანტიქრისტე თავს განადიდებინებს, თაყვანს აცემინებს კაცობრიობის დიდ ნაწილს. სეთურ-თაბაგარში აპოკალიპტური მხეცი და ცრუ წინასწარმეტყველი იგულისხმება. არქიფოც იმავე მეთოდებით მოქმედებს. ათასგვარ სახელს ირქმევს, რათა ნამდვილი სახე და სახელი გადაფაროს ამით. ადამიანებს *„დღედაღამ შენი სახელი უნდა აძახებიო და შენი ქება გააგონო და საკუთარი პირით ათქმევიო“* (ამირეჯიბი 1973: 109), – ეუბნება ის „საიდუმლო სერობაზე“ მოსესა და დათას და „დიდი სიბრძნის თქმისა და გათავებისას“ თითო სახარების მადლის შეწევნას ითხოვს. კაკოია თაბაგარის დახმარებით ღმერთად გამოყავს თავი და ათასგვარ ნაბოდვარს ლოცვასავით აზეპირებინებს ადამიანის სახედაკარგულ არსებებს. ამ გაუბედურებული ხალხისთვის ცისკრის ლოცვისა თუ მწუხრის ჟამის აღვლენა არქიფო მამა-მარჩენლის სახელის დაუსრულებელი ხსენებითა და დითირამბებითაა ჩანაცვლებული. მათი მეტყველების, აზროვნებისა და სიტყვის კანონმდებელი – კაკოია თაბაგარი – მონური ლექსიკის მარაგს უქმნის და უმარჯვებს პირუტყვად ქცეულ მასას: *„მომძღვნელმან ჩვენის პურისა და სარჩოსი, მამამან ჩვენმან უსათნოესმან და უკეთილესმან, რომელ არს არქიფო, – იცოცხლოს მარადჟამს,“* – „ქოროც ბანს“ აძლევს: – *„პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ“* (ამირეჯიბი 1973: 105). ასე ლუღლუღებენ ყოველ ცისმარე დღეს ისინი და სიკეთის, ბედნიერი მომავლის ილუზიით მოხიბლულნი „ეწაფებიან“ „ფსალმუნებს“, რომელსაც უშურველად ურიგებს კაკოია ცრუპენტელა. ეს არის ადამიანთა სულების ნებაყოფლობითი ანექსიის უპრეცედენტო მაგალითი.

არქიფო სეთური ფსევდოადამიანია. ის დემონურ ძალაუფლებას ფლობს, რომელსაც ავრცელებს თავისი მოქმედების არეალში. ის ცრუ გმირია და მრავალსახელმქონე (სახესა და სახიერებას მოკლებული) იქ მყოფთა ნაშრომის მიმთვისებელი და მათი სულების უზურპატორია. არქიფო სატანასავით კადნიერი, ადამიანთმოძულე, ნათლისა და სიწმინდის დამანგრეველია, რომელიც თავის „მზრუნველობას“ აყვედრის კიდეც ბრბოდ ქცეულთ და მათში ინფანტილიზმს ნერგავს, აგონიამდე მისულ მდგომარეობაში ამყოფებს მათ. მისი „ფილოსოფიური ნააზრევი“ ყველა ადამიანურ თვისებას აუკუღმართებს: *„კაცი შიშსა და მოკრძალებას რომ დაკარგავს, მაშინ გაუბედურდება“* (ამირეჯიბი 1973: 107); *„კაცისთვის კაი თუ გინდა, არ უნდა გააძღო და გააღორმუცელო“* (ამირეჯიბი 1973: 108). სეთურის ნამოქმედარი ამსხვრევს ღირებულებათა სისტემას, ქაოსს ავრცელებს ირგვლივ.

წიგნიდან „გამოცხადებაი ღმრთისმეტყველისა იოვანესი“ (ბერძ. „აპოკალიფსის“) ცნობილია, რომ სატანისტური მსახურება ჭეშმარიტი ღვთის მსახურების პაროდირება იქნება. აკი სეთურს აბელი ჰქვია, თითქოს ის მსხვერპლი იყოს რაიმე სახის ვერაგი განზრახვისა. რეალურად კი ის კაენიტია – სატანაჩასახული, რომელიც „ეშმაკის ნიშნით დადაღულთ“ ცოცხლად ხოცავს და ანადგურებს.

არქიფო მუშნი ზარანდიასავით ფიქრობს, რომ ცბიერება და ბოროტება სახელმწიფოს პრეროგატივაა. ხელისუფალი ვალდებულიც კია წესრიგის დასაცავად, მოქალაქეების კეთილდღეობაზე საზრუნავად ნებისმიერი, „თუნდაც ტირანული“, მეთოდები გამოიყენოს. არქიფო სეთურს ნიკოლო მაკიაველივით მიაჩნია, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებას“. არქიფო, ისევე როგორც მუშნი ზარანდია, ჭორების გავრცელებით, დასმენით, დაბეზღებით, გათითოკაცებით ცდილობს ბალანსი შეინარჩუნოს მასებში. ზარანდიასაც ჰყავს ასინეთა კუდიანის მსგავსი მოენეები, რომლებიც ტყუილსა და მართალს ერთმანეთში ურევენ, ხალხს ჰკიდებენ ერთმანეთს და სულგაყიდულნი ყურმოჭრილი მონებივით ემსახურებიან თავიანთ „მამასა და მარჩენალს“, „გადამრჩენელსა და სიცოცხლის შემნარჩუნებელს“. არქიფოს მართვის მეთოდი ასეთია: *„ადამიანი სანამ მარტოა და არავის ენდობა, იქამდე ვარგა სხვისთვისაც და თავისთვისაც. პირის შეკვრას რომ ისწავლიან, მერე კაი აღარაფერი გამოვა მათი ხელიდან“* (ამირეჯიბი 1973: 112). არქიფომ სპირიდონა სულანჯია იმიტომ დასაჯა, რომ პროტესტი გამოთქვა: *„არქიფო იმდენს გვაძლევს, შიმშილით რომ არ დავწყდეთო“* (ამირეჯიბი 1973: 108). არქიფომ იცის, რომ შვილი მამას მაშინ ეწინააღმდეგება, მაშინ უჩნდება პროტესტი მამის მიერ დაკანონებულ ცხოვრების წესზე, როცა მას კერძო საკუთრება აქვს; მატერიალური შემოსავალი მამისაგან დამოუკიდებელი ცხოვრებისა და თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღების გაბედულებას მატებს ადამიანს; აფიქრებინებს, რომ მამა-პატრიარქის წყალობის გარეშეც შეძლებს დამოუკიდებლად არსებობას. არქიფო მინიმალურის მიცემით სწორედ ამის შეგრძნებას უკლავს თავის დაქირავებულ ხალხს; კლავს მათში ინდივიდუალიზმის ყველა სახის ჩანასახს, შიშს უნერგავს და აჯერებს, რომ მისი „წყალობის“ გარეშე ისინი ვერ იარსებებენ.

სეთური აბელიდან (მისივე განმარტებით, „მოფუსფუსე, შეწუხებული“) არქიფოდ იქცა (ცხენების, თავლის უფროსი), რითაც ხალხს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ ცხოველივით (ცხენივით, სახედარივით...) ჭაპანწყვეტაში უნდა იყოთ, რადგან თქვენი მისია და დანიშნულება ადამის მოდგმის (თავად თავის თავს ადამიანად მიიჩნევს, მათგან განსხვავებით) მსახურებაა მხოლოდო. სეთური, თავის სახელთა ცვლით იდენტობის უმთავრეს ნიშანსა და განმსაზღვრელს უარყოფს, უკუაგდებს, შეგნებულად ჩქმალავს ნამდვილ სახესა და მიზანს. არქიფო და კაკოია დაფეხვილი აპოკალიპტური მხეცისა და მისი ცრუ წინასწარმეტყველის მიწიერი განსახიერებები არიან, *„ვინაიდან ცხენთა ძალა მათ პირებშია და მათ კუდებში; ხოლო მათი კუდები წააგავდა გველებს და ჰქონდათ თავები და იმით ავნებდნენ“* (გამოცხადება 9: 19). დათა თუთაშხიაც გველეშაპად აღიქვამს სეთურს: *„ქვეყანა მაქვს მოვლილი და ასეთი გველეშაპის ნახვა არ მომხდენია არსად. ნახვა რაია, – მსგავსი არ გამიგონია და არც წამიკითხავს არაფერი“* (ამირეჯიბი 1973: 116-117).

იოანეს გამოცხადებაში წერია: *„თაყვანი სცეს დრაკონს, რადგან ძალაუფლება მისცა მხეცს; თაყვანს სცემდნენ მხეცს და ამბობდნენ: ვინ არის ამ მხეცისთანა და ვის ძალუძს მასთან შებრძოლება?“* (გამოცხადება 13: 4); საირმის ტყის მიწის მთხრელებს უძლეველ გოლიათებად მიაჩნიათ სეთური და მისი მცირე გარემოცვა. მათთან არათუ ფიზიკურ შებრძოლებას, სიტყვიერ წინააღმდეგობასაც ვერ ბედავენ. ასეთი ცხოვრებაა მათი ნირის განმსაზღვრელი და ბედნიერების მომტანი. დათა და მოსე ცდილობენ სეთური-მხეცისგან გაბეჩავებული ხალხის გამოფხიზლებას; დათას მოწოდებაზე: *„ვინ ხართ, თქვე უბედურებო, რა ჯიშისა ხართ! რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა აბელა სეთურმა და, აგერ, ამ მოსასპობმა თაბაგარმა, არ ფიქრობთ?! ვერ ხედავთ ამას?! “* ბრბოს პასუხია: *„გაგვაუბედუროს უნდა მაგანო“* (ამირეჯიბი 1973: 130). გასაცოდავებულ ბრბოს ჰგონია, რომ ეს არის იდეალური ყოფა, მათი არსებობის გამართლება და დანიშნულება. მათ ჰყავთ „მზრუნველი“ მამა-პატრონი, რომელიც არ დაუშვებს მათ „გაუბედურებას“, „დაღუპვას“.

საირმის ტყეში მცხოვრებთ ღირებულებათა სისტემის ცენტრი აქვთ „მოშლილი“. ამ სიცარიელეს ამიტომაც ავსებს სეთურის მსგავსი უსახელო (ან მრავალსახელიანი, მრავალთავიანი ურჩხული), უსახური, გაუგებარი წარმომავლობის არსება თავისი სასტიკი და არაკეთილსინდისიერი საქციელით. ერთმანეთის დაბეზღებით, უსიყვარულობის მარცვლების ჩათესვით, შურითა და ბოღმით ზომბებად აქცევენ ამ საცოდავ არსებებს. ამ აპოკალიპტურ სივრცეში ოპოზიციური წყვილები ადგილშეცვლილია: კეთილი ბოროტითაა ჩანაცვლებული, გონიერება – უგუნურებით, ფიქრი – უფიქრელობით. მათი აზროვნების ყველა რეზერვუარი დაშრეტილი და გამოფიტულია. მათი ტვინიდან სამუდამოდ აღმოფხვრეს თავისუფლების განცდა და დააკარგვინეს ფიქრის უნარი, რათა ვერ გაერკვიათ თავიანთი დანიშნულება, მისია და ამქვეყნად მოვლინების არსი; ის, რომ *„ფიქრის უფლება ყოფილა თურმე ყველაზე ძვირი, რადგან ცხოვრების ავანჩავანი ფიქრში ირკვევა“* (ჭილაძე ო. 2010: 418).

მაია მენთეშაშვილი

სსიპ-ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

დამოწმებული ლიტერატურა:

ამირეჯიბი 1973: *ამირეჯიბი ჭ., რომანი „დათა თუთაშხია“, რომანი ორ წიგნად, წიგნი პირველი, გამომც. „მერანი“, თბილისი, 1973;*

გვაზავა 1996: *გვაზავა მ., მუშნი ზარანდიას სახის გაგებისთვის, ჟ. „განთიადი“, №7-8, 1996;*

ენციკლოპედია 2012: *აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ., სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტომი მეორე, თბილისი, 2012;*

ჭილაძე 2010: *ჭილაძე ო., პოემა, „ადამიანი გაზეთის სვეტში“, ლექსები, პოემები, თბილისი, 2010.*

ინფორმაცია

„ჩვენი შექსპირი“

დედოფლისწყაროს პირველი, მეორე და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, რომლებიც კულტურის სახლის ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონის“ დასის წევრები არიან, წარმოგვიდგინეს უილიამ შექსპირის ტრაგედიების – „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მეფე ლირი“, „რომეო და ჯულიეტა“ მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა „ჩვენი შექსპირი“. ინსცენირება და დამდგმელი რეჟისორი – კულტურის სახლის დირექტორი **ცარო მარტიაშვილი**. ხუთი წელია, იგი „ბერიკონის“ სამხატვრო ხელმძღვანელია. მის მიერ დადგმული სპექტაკლები – „სტუმარ-მასპინძელი“, „ფიროსმანი“ და სხვ. ანშლაგით იმართება. ასე იყო ამჯერადაც, კოკისპირული წვიმის მიუხედავად, კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზი გადაიჭედა. ამით იმის თქმა მინდა, რომ შექსპირის შემოქმედება დღესაც აქტუალურია და მობრძანებულ საზოგადოებას აინტერესებდა, როგორ გაართმევდნენ თავს სკოლის მოსწავლეები შექსპირის პერსონაჟების განსახიერებას. თუმცა, მოდით სპექტაკლის მსვლელობას თანმიმდევრულად მივყვეთ. მოქმედ პირებს და შემსრულებლებს ამშვენებდათ სოფიო კირვალიძის გრიმი და აქსესუარები, **მანანა ნაროზაულის** მიერ შეკერილი კოსტიუმები, თავი მართლა ვერონაში გეგონებოდათ. დასის წევრებმა გააცოცხლეს შექსპირის უკვდავი გმირები. თავად შექსპირის და მეფე ლირის როლი ზედმიწევნით კარგად მოირგო **დავით ხუციანიძემ**, კასიო და რომეოს დასამახსოვრებელი სახე შექმნა **თორნიკე აფციაურმა**, დებიუტანტმა **თეკლა ჯიბღაშვილმა** ბრწყინვალედ განასახიერა კორდილიას როლი „მეფე ლირიდან“. დასის თითოეული წევრი მაღალი არტისტიზმით გამოირჩეოდა: ჰამლეტი – **გიორგი ბენაშვილი**, ჰორაციო – **გიორგი მაზიაშვილი**, პირველი ბერიკა – **თამარ ხუციშვილი**, ოფელია, მთხრობელი – **კატო გვენეტაძე**, ლაერტი, მეფე – **აბრამ ახალაური**, დედოფალი, ქალბატონი კაპულეტი – **თათული ხუციშვილი**, აჩრდილი, ტიბალტი – **გიორგი იაკობიშვილი**, ემილია, მთხრობელი – **ანა დავითაშვილი**, იაგო – **სოსო კიკილაშვილი**, გონერილა – **მალვინა ისმაილოვა**, რეგინა – **ლიკა ბახუტაშვილი**, ჯულიეტა – **ეთო შარმაზანაშვილი**, ძიძა – **ანასტასია ყოჩიაშვილი**, დეზდემონა – **თათია ცისკარაული**. მაყურებლის მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა ოტელოს როლის შემსრულებელმა **თორნიკე ოზბეთელაშვილმა**, შავი ხუჭუჭა თმებით, იგი ნამდვილი მავრი იყო. თორნიკე და ანასტასია ქორეოგრაფიული ანსამბლის „შირაქი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი – **ალექსანდრე გაბრიელაშვილი**) წამყვანი სოლისტები არიან, გასტროლებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, თურქეთში, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში, თანატოლებთან ერთად, მათ დიდი მოწონება ხვდათ წილად. კომენტარი ვთხოვე დედოფლისწყაროს რესურსცენტრის უფროსს, **ეთერ დავითაშვილი**: *„მთხრობელმა მარი მოლაშვილმა, მოქმედმა პირებმა და შემსრულებლებმა ერთწლიანი დაუღალავი შრომის შედეგად, ბრწყინვალე სპექტაკლი შემოგვთავაზეს, ისინი სკოლაშიც მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან. თითოეულ მათგანს ვულოცავ ამ წარმატებას. ხანგრძლივი ოვაციებიც და ტაშიც ამის დასტური გახლდათ“.*

სოფელ ჯაფარიძის (ახლანდელი სამრეკლოს) საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი და კულტურული ღონისძიებების არაერთგზის მონაწილე **ეგული ყოჩიაშვილი**: *„დიდხანს ემზადებოდნენ ბავშვები ამ წარმოდგენისთვის. ცარო მარტიაშვილმა ახალგაზრდული თეატრი მეორე სკოლად აქცია. ეჭვიც არ მეპარება, რომ თითქმის არც ერთ მათგანს არ ექნებოდა წაკითხული შექსპირის ტრაგედიები. ეს სცენარი მათ ცარომ წააკითხათ და ზეპირად ასწავლათ, შექსპირის ტრაგედიების მოქმედი პირები ახლებურად, თვალსაჩინოდ დაანახათ“.*

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა** აღნიშნა: *„ქალბატონი ცარო ექვსი წლის ასაკიდან მახსოვს, იგი არ იცვლება, ისევ ისეთი ახალგაზრდა და ენერგიულია. დღევანდელი პრემიერით აღფრთოვანებული ვარ, მე ვესწრებოდი ასევე „სტუმარ-მასპინძლის“ და „ფიროსმანის“ პრემიერას, მაგრამ შექსპირმა მოლოდინს გადააჭარბა, სპექტაკლს დიდ ხიბლს მატებდა რიჰარდ ვაგნერის და ნინო როტას მუსიკა“.*

პრემიერას სპეციალური სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ თბილისიდან – **თემურ ჩალაბაშვილი**, ბრწყინვალე პოეტი, სიღნაღისა და თბილისის საპატიო მოქალაქე და **გივი სიხარულიძე** – მსახიობი, პოეტი, პროზაიკოსი. ორივემ მაღალი შეფასება მისცა თითოეულ შემსრულებელს და უღრმესი მადლობა გადაუხადეს **ცარო მარტიაშვილს** და **ნანა ჭიჭინაძეს** მოწვევისთვის.

მხატვარი გახლდათ – **აკაკი მერაბიშვილი**, მუსიკალური გაფორმება – **მამუკა უთრუთაშვილი**.

სპექტაკლი დასრულდა უილიამ შექსპირის 66-ე სონეტით:

„ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.
რადგან უწმიდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.
ასე დაღლილი, ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს“.

დაბოლოს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა, **ნონა ჯიბღაშვილმა** სცენაზე იხმო გამგებელი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი**, რომელმაც მეორე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეებს და „ბერიკონის“ წევრებს: **ლაშა ლათიბაშვილს**, **თორნიკე ნაროზაულს** და **ანა ლოლაშვილს** მიულოცა სკოლის დამთავრება და ფასიანი საჩუქრები გადასცა, თავად ქალბატონმა ნონამ მადლობა გადაუხადა ჩამოსულ სტუმრებს, რაიონის ხელმძღვანელებს, პირადად ნიკოლოზ ჯანიაშვილს, რომელიც ყოველთვის გვერდში უდგას ახალგაზრდობას, ასევე დამსწრე საზოგადოებას, რომელიც მობრძანდა პრემიერაზე და, როგორც ყოველთვის, სმენისა და ემოციის გამოხატვის მაღალი კულტურა აჩვენა.

მარიკა პოპიაშვილი

ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს

ევროკავშირი, საქართველოს მხარდასაჭერად, ახალ ჩარჩო-პროექტზე მუშაობს. ევროკავშირის **49 მილიონევროიანი** საბიუჯეტო და ტექნიკური დახმარება, რომელიც პროექტის ფარგლებში საქართველოსთვის გამოიყოფა, ძირითადად, ეკონომიკური და საბაზრო შესაძლებლობების განვითარებაზე იქნება კონცენტრირებული და მიმდინარე პროგრამის (27 მილიონევროიანი საბიუჯეტო მხარდაჭერის პროექტი) გამოცდილებას დაეფუძნება.

პროგრამა 2018 წელს ამოქმედდება და მის განხორციელებაში ჩართული იქნება 4 სამინისტრო: განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე ეკონომიკის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამინისტროებთან სამუშაო შეხვედრები. ერთ-ერთი შეხვედრა ევროკავშირის წარმომადგენლებთან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის მონაწილეობით გაიმართა.

ახალი პროექტი უფრო ფართო სპექტრის იქნება და მოემსახურება უნარ-ჩვევების განვითარებას შრომის ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. პროგრამის მიზანია დასაქმებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, რათა საქართველოს მოქალაქეებმა შეძლონ თვითდასაქმება ან, უკვე არსებული სამუშაო ადგილების პირობებში, მოერგონ მოთხოვნებს და დასაქმდნენ. პროგრამა დაეხმარება, ასევე, დასაქმებულ პირებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ევროკავშირის პროგრამის ძირითადი პრიორიტეტებია: აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის შემუშავება, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიების პროგნოზირება, პროფესიული ორიენტაცია და კონსულტირება, საჯარო დასაქმების სერვისების განვითარება, პროფესიული განათლების განვითარება, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და კერძო-საჯარო პარტნიორობა, მასწავლებელთა მომზადება-გადამზადება, სამეწარმეო სწავლება და საკვანძო კომპეტენციების განვითარება.

49 მილიონევროიანი გრანტი ეძლევა საქართველოს, მის მიერ, პრიორიტეტად დასახული მიზნების განსახორციელებლად და იმ აქტივობებისთვის, რომელიც გაწერილია შესაბამის სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში, 2018 წლიდან შემდეგი 5 წლის განმავლობაში.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„უკვე დაიგეგმა ახალ პროექტზე მუშაობა, პროცესში აუცილებლად ჩაერთვებიან ჩვენი პარტნიორი სამინისტროები და ამ პროექტში ერთად ვიქნებით წარმოდგენილები, რაც მთავარია, დაგეგმილია დაფინანსების ოდენობის გაზრდა. მიზანი, ისევ და ისევ, იქნება განათლება და დასაქმება – ამ ორი საკითხის ურთიერთკავშირის გაუმჯობესება იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებმა და არამხოლოდ ახალგაზრდებმა (ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ ზრდასრულთა განათლებაზე და გადამზადებაზე) შეძლონ შრომის ბაზარზე საკუთარი ღირსეული ადგილის მოპოვება.“*

ნინო ყოჩიშვილი, პროგრამის კოორდინატორი: *„ახალი პროგრამა მიმდინარე პროგრამის გამოცდილებას ეფუძნება, ოღონდ უფრო ფართო სპექტრისაა და ემსახურება უნარ-ჩვევების განვითარებას შრომის ბაზრის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ეს იქნება ფართომასშტაბიანი პროგრამა, საუბარია ევროკავშირის 49 მილიონ ევრომდე კონტრიბუციაზე. ე.წ. საბიუჯეტო დახმარების პროგრამა გულისხმობს იმას, რომ ამ თანხის ნაწილი, ყოველწლიურად, ტრანშების სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინაში გადაირიცხება, ხოლო ნაწილი მოხმარდება იმ ე.წ. დამხმარე ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს, ისევ და ისევ, სხვადასხვა ბენეფიციარს დასახული აქტივობების განხორციელებაში. ახალი პროგრამა ყოვლისმომცველი იქნება იმ კუთხით, რომ დაეხმარება ყველა სახის განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას – ე.წ. მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლებას, პროფესიულ განათლებას როგორც ფორმალურს, ასევე არაფორმალურს და უმაღლესი განათლების გარკვეული ელემენტების უკეთესად დაკავშირებას შრომის ბაზრის საჭიროებებთან.“*

მედიაწიგნიერება

რიუნოსკე აკუტაგავას „უსიერ ტყეში“

პედაგოგი: ეკა დონაძე
სკოლა: თბილისის №71
საგანი: ლიტერატურა
კლასი: XII

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლეები გაეცნობიან მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშსა და პოსტმოდერნიზმის პრინციპებს ნაწარმოების მაგალითზე; დააკავშირებენ ნაწარმოებს ქართულ ლიტერატურასთან, შეადარებენ ნაწარმოებს მის ეკრანიზაციას.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

ქართ. XII. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.

ქართ. XII. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.

ქართ. XII. 7. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე.

მედიაწიგნიერების მიზანი:

გაკვეთილზე მიწოდებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

- **ინტერპრეტაცია** – რაიმეს ახლებური, თავისებური გააზრება;
- **ნაფიცი მსაჯული** – სასამართლოზე განაჩენის გამომტანი, საზოგადოებიდან შერჩეული პირი;
- **მანიპულირება** – 1. რაიმე რთული მოქმედება. 2. გადატანითი მნიშვნელობით – ოინი, ყალთაბანდობა;
- **კონსტრუირება** – აგება, რაღაცის კონსტრუქციის შექმნა.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=3654
https://www.youtube.com/watch?v=ZWeojI9_3E8
https://www.youtube.com/watch?v=hTx_dPlVzhs&index=4&list=RDKH9G3rpGTS4
https://www.youtube.com/watch?v=rFq1eXHlc_w

გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა:

აქტივობა 1

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაასახელონ ის რეალური ფაქტები, რომლებიც მათ მეხსიერებაში აღიბეჭდა და რომლებმაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს შეიძლება იყოს მასმედიის საშუალებით ნანახი ან ახლობლებისაგან მოსმენილი ინფორმაცია. ორი სიტყვით შეაფასონ იგი. მასწავლებელი ამ ინფორმაციას წერს დაფაზე წინასწარ დახაზულ სქემაში. სქემაში 2 გრაფაა: ფაქტი და შეფასება

ფაქტი (სავარაუდო)	შეფასება (სავარაუდო)
პარიზის ტერაქტი	ეს იყო კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული
საქართველოსათვის უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუცია	უდიდესი გამარჯვება და ევროინტეგრაციის გზაზე წინგადადგმული ნაბიჯი
ფერადკანიან გოგონასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის ფაქტი სკოლაში	ეს ძალიან დამამცირებელი და სამარცხვინოა, წარმოაჩენს ჩვენს დამოკიდებულებას მსგავს საკითხებთან

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება მასმედიის როლზე: *„მასმედია ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილადაა ქცეული და ის სრულად ფლობს და ავსებს ჩვენი ცხოვრების დიდ მონაკვეთს. არის საშიშროება, რომ თანამედროვე ადამიანი ჩაიკარგოს ინფორმაციის ზღვაში, ვერ შეძლოს ტყუილ-მართლის გარჩევა, დაკარგოს რეალობის განცდა და იქცეს ადვილად სამართავ, მანიპულირებად არსებად. ასეთ დროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების უნარს, აღიქვას ყველაფერი ობიექტურად, თუმცა, ეს ჩვენს რეალობაში უაღრესად რთულია.*

და მაინც, სად არის სიმართლე? როგორ შეიძლება შევიცნოთ იგი? ამ კითხვებზე პასუხი ყოველ ეპოქაში სხვადასხვაგვარია. დღეს ჩვენ პოსტმოდერნიზმის თვალით შევხედავთ ობიექტურ რეალობას, თუმცა იქამდე დიდი მწერლის საინტერესო და უცნაურ ნაწარმოებს გავაანალიზებთ.“

<u>შენიშვნა:</u> *მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე მასწავლებელმა წასაკითხად მისცა რიუნოსკე აკუტაგავას ნოველა „უსიერ ტყეში“.*

> მოთხრობის მოკლე შინაარსი ასეთია: ტყეში იპოვეს სამურაის გვამი. შეიპყრეს იმ ადგილებში მოთარეშე ცნობილი ყაჩაღი, რომელიც აღიარებს, რომ სამურაი და მისი მეუღლე ტყეში შეიტყუა, ცოლი გააუპატიურა, ხოლო სამურაი მოკლა.
>
> ცოლის ჩვენება განსხვავებულია. მისი თქმით, ყაჩაღმა მართლაც შეიტყუა ცოლ-ქმარი ტყეში, სამურაი ხეზე მიაბა, მის თვალწინ დაეუფლა მის ცოლს და შემდეგ გაიქცა. შერცხვენილმა ქალმა ქმარი მოკლა, მერე თავის მოკვლაც უნდოდა, მაგრამ გული წაუვიდა. გონზე რომ მოვიდა, შეეშინდა და გაიქცა.
>
> მესამე ვერსიას მოკლული სამურაის სული გვიყვება. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც ყაჩაღმა ცოლი გააუპატიურა, ქალმა თვითონ შესთავაზა მოძალადეს - ახლა ჩემი ქმარი მოკალიო, მაგრამ აღშფოთებულმა ყაჩაღმა ფეხი ჰკრა ქალს, სამურაი ახსნა და თვითონ გაიქცა. შერცხვენილმა სამურაიმ სიცოცხლე აღარ ინდომა და თავი მოიკლა.
>
> მწერალი არ გვთავაზობს საბოლოო ვერსიას – მაინც რა მოხდა სინამდვილეში. საკითხი ღიად რჩება. აკუტაგავას მიხედვით, გარკვეული გაგებით, სწორია სამივე ვერსია.

აქტივობა 2. მოსწავლეებს ორიოდე სიტყვით ვესაუბრები იაპონურ მწერლობასა და ტრადიციებზე და ტექსტის წაკითხვამდე ვუჩვენებ რამდენიმეწუთიან ვიდეომასალას აკუტაგავას შესახებ (https://www.youtube.com/watch?v=rFq1eXHlc_w).

აქტივობა 3

> **ვიდეო გვიამბობს თანამედროვეობის უდიდესი იაპონელი მწერლის ბავშვობისა და ოჯახის შესახებ, საინტერესოდაა დანახული მისი სულიერი სამყარო და ტრაგიკული განცდები, რომლებიც მისსავე შემოქმედებაში აირეკლა. ვიგებთ მწერლის ნარკოტიკისადმი დამოკიდებულებისა და სუიციდის მცდელობების შესახებ, ასევე საუბარია იმაზე, რომ აკუტაგავა საოცრად კარგად შეიგრძნობს ნოველის ჟანრს და სწორედ მის სახელს უკავშირდება კლასიკური იაპონური ლიტერატურის პოპულარიზაცია მთელ მსოფლიოში.**

ვიდეოს ნახვის შემდგომ მასწავლებელი ინტერესდება მოსწავლეთა აზრით. ეკითხება მათ:

- როგორია მათ წარმოდგენაში მწერალი?
- დაეხმარათ თუ არა ვიდეოში გადმოცემული ინფორმაცია აკუტაგავას, როგორც პიროვნების, უკეთ შეცნობაში?
- რამდენად საინტერესო იყო კადრები?
- რამდენად შთამბეჭდავი იყო მუსიკა?
- რამდენად შეესაბამებოდა იგი აკუტაგავას იდუმალებით მოცულ სამყაროს?
- რამდენად მშვიდი და სასიამოვნო იყო წამყვანის ხმა და ჯდებოდა თუ არა იგი საერთო კონტექსტში?
- შეიძლება თუ არა მწერლის შემოქმედების გასაღები მის ბავშვობაში ვეძიოთ?

დისკუსია გაზრდის მოსწავლეების ინტერესს აკუტაგავას შემოქმედების მიმართ, ისინი გაიაზრებენ ფილმებში გამოყენებულ პერსონაჟის აღწერის ხერხებს.

დისკუსიის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. ეცნობიან მონიშნულ ტექსტს, ამზადებენ სხვადასხვა პერსონაჟის (მოწმეები, ყაჩაღი, ცოლი, ქმარი) პოზიციას.

> **მოხდა ფაქტი – მკვლელობა. ნაწარმოებში მოცემულია განსხვავებული ინტერპრეტაციები.**

თითოეულმა ჯგუფმა უნდა დაამტკიცოს, რომ მათი ვერსიაა სწორი და სხვა ტყუის. ამისათვის ყურადღება უნდა გაამახვილონ დეტალებზე, იაზროვნონ კრიტიკულად და გამიჯნონ ერთმანეთისაგან ტყუილ-მართალი.

თითოეულ ჯგუფს დაევალება, შეავსოს და წარმოადგინოს საკუთარი მონაკვეთის მიხედვით 5W პრინციპით შედგენილი კითხვარი (ვინ? სად ? როდის? როგორ? რატომ?). ეს მათ დაეხმარებათ ფაქტებისა და მოსაზრებების ორგანიზებასა და გააზრებაში.

ვინ?	სად?	როდის?	როგორ?	რატომ?
იპოვა ტყისმჭრელმა	ტყეში, მთის ძირას, გზიდან მოშორებულ, უკაცრიელ ადგილას	დილით	ხმლით გულში დაჭრილი	მოწმემ არაფერი იცის მკვლელობის მოტივზე

ასევე იქმნება სამკაციანი „ნაფიც მსაჯულთა“ ჯგუფი. მათ ევალებათ, ყურადღებით მოუსმინონ ჯგუფის წევრების ვერსიებს მომხდარი ფაქტის შესახებ, დაუსვან მათ კითხვები და შეაფასონ, რამდენად დამაჯერებელია არგუმენტები.

აქტივობა 4

ჯგუფები წარადგენენ მოსაზრებებს. თითოეული ჯგუფის წარდგინების შემდეგ გაიმართება დისკუსია. საბოლოოდ, საკუთარ მოსაზრებებს ნაფიცი მსაჯულებიც იტყვიან.

დისკუსია წარიმართება მკვლელობის ვერსიის უტყუარობის შესახებ. მასწავლებელი დასვამს კითხვას: რომელი ვერსია გეჩვენებათ უფრო დამაჯერებლად და რატომ?

სავარაუდო პასუხი: ყაჩაღის, რადგან ის აღიარებს მკვლელობას და დასაკარგი არაფერი აქვს, რადგან სიკვდილით მაინც დასჯიან. მის შემთხვევაში, ტყუილს აზრი არ აქვს.

სავარაუდო პასუხი: ქმრის, შესაძლებელია, რადგან გარდაცვლილები, როგორც წესი, არ უნდა ცრუობდნენ.

<u>შენიშვნა</u>: *დისკუსიის დროს ბევრი კითხვა დაისმება, თუმცა, საბოლოო დასკვნის გამოტანამდე ნაფიც მსაჯულებს უნდა დაეხმაროს მასწავლებელი, რომლისთვისაც ავტორის ჩანაფიქრი გაცნობიერებულია. ის შეეცდება, ბავშვები მიიყვანოს ლოგიკურ დასკვნამდე.*

აქტივობა 5

მასწავლებელი წარმოადგენს საკუთარ პრეზენტაციას თემაზე „რას ნიშნავს სიმართლე ანუ ობიექტური რეალობა და რამდენად არსებობს იგი ჩვენს ცხოვრებაში...“

პრეზენტაციისა და მინი-ლექციის შემდგომ მოსწავლეებისათვის ცხადი გახდება ნაწარმოების მთავარი იდეა –ადამიანისეული ცოდნა არის შეფარდებითი და ჭეშმარიტებაც სამყაროში პირობითია. სწორედ ესაა პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი. პოსტმოდერნი ყურადღებას ამახვილებს სინამდვილის, რეალობის მოდელირებაზე და სწორედ ამიტომ მას ყველაზე კარგად მიესადაგება ტელევიზია. ხშირად სწორედ ახალი ამბების რეპორტაჟი, ადამიანის მიერ კონსტრუირებული მოდელები აძლევს სტიმულს სოციალური მოვლენების განვითარებას და არა ღმერთი ან ბუნებრივი კანონზომიერებები (მაგ. მოდელირებული ქრონიკა). ესაა აკუტაგავას ნოველის არსიც. აკუტაგავას ახასიათებს ცნობილი სიუჟეტების ან ნაწარმოებების მოდიფიცირება და გენიალურის შექმნა. მაგალითად, ცნობილი ნოველა „რასიომონის კარიბჭე“ პირველად ამ სახელწოდებით დაიწერა მე-11 საუკუნეში და მასში გადმოცემული იყო ქურდის ფიქრები. აკუტაგავამ მისი სრულიად თავისებური ვერსია შექმნა. „მე ვეძებ დიდ სიუჟეტებს ისტორიაში, რათა ისინი მოვარგო თანამედროვე ადამიანებს“ – წერდა იგი. სწორედ ამ ნოველების – „რასიომონის კარიბჭისა“ და „უსიერ ტყეში“ – მიხედვით გენიალურმა იაპონელმა რეჟისორმა, აკირა კუროსავამ, გადაიღო ფილმი „რასიომონი“.

აქტივობა 6

ბავშვებს მასწავლებელი ეუბნება, რომ ჩვენს ლიტერატურაშიც არის მსგავს სიუჟეტზე შექმნილი ნაწარმოებები. მოსწავლეები ისმენენ „შემომეყარა ყივჩაღისა“ (https://www.youtube.com/watch?v=ZWeojI9_3E8) და „ყივჩაღის პაემანის“ (https://www.youtube.com/watch?v=hTx_dPlVzhs&index=4&list=RDKH9G3rpGTS4) აუდიოვერსიას.

> **ორივე ნაწარმოები დაწერილია ერთსა და იმავე სიუჟეტზე და ორივეში ვხვდებით სამ მოქმედ გმირს: მოძალადე ყივჩაღს, ქმარსა და სასურველ ქალს. მაგრამ ერთი ხალხური ვერსიაა „მუხრანულის“ სახელით ცნობილი, მეორე კი დიდი პოეტის, გიორგი ლეონიძის გენიალური ქმნილებაა. პირველ შემთხვევაში ყივჩაღი ტიპური მოძალადეა, მეორეში კი ლირიკული გმირი, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი შეყვარებული მამაკაცი გახლავთ. „მუხრანულში“ ქმრის ნაამბობს ვისმენთ, „ყივჩაღის პაემანში“ კი თავად ყივჩაღი გვიზიარებს საკუთარ განცდებს. ესაა სხვადასხვა ჭრილში დანახული ერთი ისტორია.**

შემომეყარა ყივჩაღი

ხალხური

შემომეყარა ყივჩაღი
სამზღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა.
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა.
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა.
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმყვანდა სიდედრისასა, –
ან კი ცოლს როგორ მივცემდი,
შვილსა გაზრდილსა სხვისასა.
ხელი მოხვია, აკოცა,
მოზიდნა ნაწნავს თმისასა.
შესტირა საბრალო ქალმა:
„ვაი, ცოლს ცუდის ყმისასა“.
მეც გულმა ვეღარ გამიძლო,
მოვზიდნე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო,
ელვასა ჰგვანდა ცისასა.
მაგრამ დაუცთა მუხანათს,
ვენაცვლე მადლსა ღვთისასა,
ახლა მე შემოვუქნიე,
ვენდვე მადლს ლაშრის ჯვრისასა.
გავჭერი ცხენი და კაცი,
წვერიც მომიხვდა ქვიშასა,
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელის მზისასა,
ცოლი სიდედრსა მივგვარე,
ის კი იქა სჭამს ქვიშასა.

გიორგი ლეონიძე

ყივჩაღის პაემანი

ყორღანებიდან გნოლი აფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ აღვსდექი! მუხრანის ბოლოს,
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.
ქსანზედ არაგვზედ ისევ ყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.
ხოხობას გნახე, მიწურვილ იყო,
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!
ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!
მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!
მოდი, მომხვიე ხელი, ჭრილობას,
ვეღარა ვხედავ სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი,
ქართლის ხეობებს ასდის ნისლები...
მოდი, გეძახი ათასწლის შემდეგ,
დამლახვროს ელვამ შენის ტანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

მედიანიგნიერება

მოსწავლეებს ვთხოვ, უპასუხონ ნაწარმოებების უკეთ გააზრებისა და შედარებისათვის მნიშვნელოვან კითხვებს, რომლებსაც დაფაზე გადავიტან.

1. ვინ და როდის დაწერა ლექსი?
2. რა ისტორიაა გადმოცემული ლექსში?
3. ვის მიმართაა სიმპათიით განმსჭვალული ავტორი? თქვენ?
4. რა ხერხები გამოიყენა ავტორმა და რომელი ლექსი უფრო შთამბეჭდავად მოგეჩვენათ? რატომ?

კითხვები მოსწავლეებს დაეხმარება, შეადარონ ეს ორი ნაწარმოები და იმსჯელონ განსხვავებებზე.

მთავარი დასკვნა იქნება ის, რომ ყველას თავისი სიმართლე აქვს და, თუ პირველ შემთხვევაში ქმარი იმსახურებს ბუნებრივ თანაგრძნობას, მეორე ლექსში გოგლა ლეონიძის მიერ ამეტყველებული მიჯნურიც საოცრად, გულისამაჩუყებლად მომხიბლავი გვეჩვენება და მასაც შეგვიძლია გავუგოთ. ასეთია ერთი ისტორიის სხვადასხვა ვერსია, ისევე, როგორც აკუტაგავას ნოველაში.

ვიდეოში ლექსს „შემომეყარა ყივჩაღი“ კითხულობს ცნობილი მსახიობი უშანგი ჩხეიძე, რომლის მკაცრი ინტონაცია სრულიად შეესაბამება შინაარსს. ლექსს არ აქვს მუსიკალური ფონი, რაც, მისი არარომანტიკული შინაარსიდან გამომდინარე, ალბათ, ბუნებრივიცაა. ვიდეოში ლექსს „ყივჩაღის პაემანი“ თავად ავტორი, გიორგი ლეონიძე, კითხულობს. იგრძნობა ის ვნება და ტემპერამენტი, რომელიც ამ დიდი პოეტისათვის ორგანულია. ვიდეო გაფორმებულია მუსიკალურადაც, რაც ემოციას აძლიერებს, ულამაზესი ხედები კი უფრო ეხმარება წარმოსახვას.

აქტივობა 7. მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, აკავშირებს გაკვეთილის ფინალს მის დასაწყისთან, ახსენებს მოსწავლეებს მათ მიერ ჩამოთვლილ და შეფასებულ ფაქტებს.

მასწავლებლის მინი-ლექცია:

მოსმენილი და გადმოცემული რეალობის მიმართ მეტი კრიტიკულობა გვმართებს. პოსტმოდერნიზმი ყველაფერს განმარტავს, მაგრამ ერიდება შეფასებებს. თავისი არსით ის საოცრად ტოლერანტულია. ცნობილი ფრანგი კულტუროლოგი და მოაზროვნე ჟან ბოდრიარი პოსტმოდერნს „სცენის ეპოქას“ უწოდებს, რომლის დაგვირგვინებასაც ტელევიზია წარმოადგენს. აქ ერთმანეთს ერწყმის სუბიექტური და ობიექტური წარმოდგენები, ტყუილ-მართალი. ამიტომ მასმედიით გადმოცემული თუ ისე მოსმენილი ფაქტების შეფასებისას, ჩვენც უნდა ვეცადოთ მოვლენათა მრავალმხრივ გააზრებას.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, ფაქტების შეფასების გრაფაში შეცვალონ ან დაამატონ მოსაზრებები.

შეფასება

გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმები იქნება:

1) მოსწავლე **იაზრებს ტექსტს** ზედმიწევნით და **ავლენს სიღრმისეულ ცოდნას**;

2) მოსწავლე **აანალიზებს** ფაქტებსა და მოვლენებს და **აკავშირებს** ლიტერატურულ ტექსტთან;

3) მოსწავლე **მსჯელობს** ტექსტში დასმული პრობლემების შესახებ, **განიხილავს** სხვადასხვა პოზიციას და **გამოაქვს შესაბამისი დასკვნები**.

კრიტერიუმები	1-3	4-5	6-7	8-10
მოსწავლე **იაზრებს ტექსტს** ზედმიწევნით და **ავლენს სიღრმისეულ ცოდნას**	მოსწავლე ვერ იაზრებს ტექსტს	მოსწავლე ნაკლებად იაზრებს და ავლენს ტექსტების ცოდნას	მოსწავლე კარგად იაზრებს ტექსტებს და ავლენს საკუთარ ცოდნას	მოსწავლე ზედმიწევნით იაზრებს ტექსტს და ავლენს სიღრმისეულ ცოდნას
მოსწავლე **აანალიზებს** ფაქტებსა და მოვლენებს და **აკავშირებს** ლიტერატურულ ტექსტთან	მოსწავლე ვერ ახერხებს ფაქტების გაანალიზებასა და ტექსტთან დაკავშირებას	მოსწავლეს უჭირს მოვლენებისა და ფაქტების გაანალიზება	მოსწავლე აანალიზებს ფაქტებსა და მოვლენებს და აკავშირებს ტექსტთან	მოსწავლე საფუძვლიანად აანალიზებს მოვლენებს და აკავშირებს ლიტერატურულ ტექსტთან
მოსწავლე **მსჯელობს** ტექსტში დასმული პრობლემის შესახებ, **განიხილავს** სხვადასხვა პოზიციას და **გამოაქვს შესაბამისი დასკვნები**	მოსწავლე ვერ მსჯელობს ტექსტში დასმული პრობლემების შესახებ	მოსწავლე გაუმართავად მსჯელობს პრობლემების შესახებ, უჭირს ლოგიკური დასკვნების გამოტანა	მოსწავლე გამართულად მსჯელობს და გარკვეულწილად მიმოიხილავს პოზიციებს. ზოგჯერ გამოაქვს ადეკვატური დასკვნები	მოსწავლე ლოგიკურად მსჯელობს პრობლემების შესახებ, განიხილავს პოზიციებს და გამოაქვს ადეკვატური დასკვნები

საშინაო დავალება:

მოსწავლეებს დავალებად ექნებათ, მოიძიონ და ნახონ 1950 წელს აკუტაგავას ამ ნაწარმოების მიხედვით გადაღებული აკირა კუროსავას ფილმი „რასიომონი“, დამიწერონ შთაბეჭდილებები.

გამოყენებული მულტიმედია რესურსები:

https://www.youtube.com/watch?v=rFq1eXHlc_w
https://www.youtube.com/watch?v=ZWeojI9_3E8
https://www.youtube.com/watch?v=hTx_dPlVzhs&index=4&list=RDKH9G3rpGTS4

სპორტი

საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა დასრულდა

25-27 ივნისს, ქუთაისში, იმერთა „სატახტო ქალაქში“, საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფინალურ ტურზე, თავი მოიყარეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზონალურ პირველობებში გამარჯვებულმა სასკოლო გუნდებმა, სპორტის შემდეგ სახეობებში: მინი-ფეხბურთი, 3X3 კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, გეზრბენი (კროსი) და ბადმინტონი. ამათგან ზოგიერთ სახეობაში იქვე გაიმართა სუპერფინალი, სასკოლო ოლიმპიადის შარშანდელ და წლევანდელ გამარჯვებულებს შორის, რომლებმაც ერთმანეთში გაისად გასამართავი მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადის საგზურები გაითამაშეს.

სასკოლო ოლიმპიადების ისტორიაში ქუთაისმა პირველად უმასპინძლა ამგვარ ღონისძიებას, რადგან აქამდე ფინალურ ეტაპს ყოველთვის ანაკლიის საზაფხულო ბანაკი მასპინძლობდა. ამდენად, თავად სპორტული ოლიმპიადის ფინალური სერიაც პირველად გასცდა ამ ახალ კურორტს. შეჯიბრებებს გახსნის საზეიმო ცერემონიალი უძღოდა წინ.

ფინალურ შეხვედრებს რაც შეეხება, მინი-ფეხბურთით დავიწყოთ, სადაც ჩემპიონობა თბილისის 149-ე საჯარო სკოლის გუნდმა მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში ზუგდიდის მე-4 სკოლა დაამარცხა, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ **ცოტნე ფაცაცია** დაასახელეს.

კალათბურთელთა ფინალში, აღმოსავლეთის ზონიდან გოგონებშიც და ბიჭებშიც თელაველები იყვნენ გასული – პირველი საჯარო სკოლის გუნდები. მათგან ქუთაისში წარმატებას გოგონებმა მიაღწიეს, ხულოელებთან შეხვედრაში იმარჯვეს, ბიჭების ტურნირმა კი წარმატება მასპინძლებს მოუტანა – ქუთაისის მე-3 სკოლის გუნდმა გაიმარჯვა. საუკეთესო მოთამაშეებად **ელენე ბადურაშვილი** და **დავით გვენეტაძე** აღიარეს.

აჭარის გუნდი ქუთაისიდან ოქროს გარეშე მაინც არ წასულა: მაგიდის ჩოგბურთში გოგონების შეჯიბრება ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოს გუნდმა მოიგო – ფინალში თბილისის 199-ე სკოლა დაამარცხა. ბიჭებში დედაქალაქის 90-ე საჯარო სკოლის გუნდმა მეორე ოქროს მოგების იმედი გადაუწურა მასპინძლებს, რადგან გადამწყვეტ შეხვედრაში ქუთაისის ქართულ-ამერიკულ სკოლა „პროგრესს“ აჯობა. აქ კონკრეტული მოთამაშეებიდან **ნინო პავლიაშვილი** და **ლევან საყვარელიძე** გამოარჩიეს.

სამაგიეროდ, ქუთაისელებმა ეს დანაკლისი ბადმინტონში ორმაგად აინაზღაურეს – გოგონებშიც და ბიჭებშიც მათ გაიმარჯვეს და ბადმინტონი „ქუთაისურ სპორტად“ აქციეს. ფინალში, ორივეგან, ქუთაისის 21-ე სკოლის გუნდი იყო გასული. საინტერესოა, რომ მეტოქედაც ერთი ქალაქის წარმომადგენელი ჰყავდათ – თელაველები, ოღონდ იმათგან გოგონებში მე-4, ბიჭებში კი – მე-5 სკოლების გუნდები იყვნენ ფინალში გასულები. როგორც გითხარით, ორივე სქესის წარმომადგენელთა შორის ქუთაისელებმა იმარჯვეს, საუკეთესო მოთამაშებაად **თამარ სუმბაძე** და **ლუკა ნინოშვილი** აღიარეს.

ფრენბურთში მოქმედმა ჩემპიონებმა შეინარჩუნეს ტიტული: გოგონებში – ბოლნისის პირველი საჯარო სკოლის გუნდმა, ბიჭებში – წყალტუბოს ზონის სოფელ მაღლაკის პირველმა საჯარო სკოლამ. გოგონებმა, ფინალში, ქუთაისის 22-ე სკოლა დაამარცხეს, ბიჭებმა – დედოფლისწყაროს პირველი სკოლა, საუკეთესოებად **ანი მანაგაძე** და **საბა იობიძე** მიიჩნიეს.

ქუთაისურმა თამაშებმა წარმატება ფოთელებსაც მოუტანა: ხელბურთში გოგონების ტურნირი იქაურებმა მოიგეს, მე-2 სკოლის გუნდმა, რომელმაც ფინალში ყვარლის პირველ საჯარო სკოლას აჯობა. ბიჭებში ფინალში წყალტუბოს მე-4 საჯარო სკოლამ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენის სკოლა დაამარცხა, საუკეთესოებად **ნონა ჯგერენაია** და **პაპუნა გოდელაშვილი** დაასახელეს. ისე როგორ იქნებოდა, სირბილში (გეზრბენი) ერთი გამარჯვებული ახალციხეს არ ჰყოლოდა (ქართული მძლეოსნობა, ბოლო წლებში, იქიდან დიდ შევსებას იღებს) – გოგონებში ამ ქალაქის მე-3 საჯარო სკოლამ გაიმარჯვა, ფინალში მეტოქედ ჭიათურის მე-4 სკოლა ჰყავდა. ბიჭებში ანალოგიურ წარმატებას თბილისის მე-12 სკოლამ მიაღწია ფოთის მე-6 სკოლასთან ჭიდილში, საუკეთესო მორბენლებად **ჰასმიკ მარქარიანი** და **დავით მოგელაძე** აღიარეს.

როგორც გითხარით, ქუთაისში სუპერფინალური პაექრობებიც ჩატარდა, სადაც ახლანდელ გამარჯვებულთა უმეტესობამ შეინარჩუნა ლიდერობა, თუმცა რამდენიმე დისციპლინაში, გაისად, მსოფლიოს სასკოლო ოლიმპიადაზე, შარშანდელი გამარჯვებულებიც იასპარეზებენ. მაგალითად, გეზრბენში, გაისად, 2-7 აპრილს, საფრანგეთში, ბიჭებში თბილისის მე-12 სკოლის გუნდის ნაცვლად, 120-ე სკოლა იასპარეზებს, გოგონებში კი – ისევ ახალციხის მე-3 სკოლა; ბადმინტონშიც შეიცვალა მონაწილე ვაჟებში – გაისად, ინდოეთში, ქუთაისის 21-ე სკოლის მაგივრად, თბილისის 98-ე სკოლა გაემგზავრება (წლევანდელ გათამაშებაში მე-4 ადგილზე გავიდნენ), გოგონებში კი – ქუთაისის ამავე სკოლის გუნდი; კალათბურთში, მომავალი წლის 23-29 ივნისს, სერბეთში, თელავის პირველი და ქუთაისის მე-3 სკოლები ითამაშებენ; მაგიდის ჩოგბურთში, 8-14 აპრილს, მალტაზე ქედიდან სოფელ ვაიოს და თბილისის 90-ე სკოლების გუნდები იასპარეზებენ; ფრენბურთში კი, 2-10 აპრილს, ჩეხეთში, მაღლაკისა და ბოლნისის პირველი სკოლები გამოვლენ; ხელბურთელთა მსოფლიოს სასკოლო პირველობას, 28 თებერვლიდან 3 მარტამდე, ყატარი უმასპინძლებს, იქ საქართველოს ფოთის მე-2 და წყალტუბოს მე-4 სკოლები წარადგენენ.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესასრულებელი სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** შესასრულებელი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია



ფასი – 15 ლარი

პროფესიული უნარების სახელმძღვანელო დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა

წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“

წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >